

საქართველოს ეროვნული ბანკი

# ინფლაციის მიმოხილვა

2007 წ. I კვარტალი



# შინაარსი

<b>1</b>	<b>შესავალი</b>	<b>5</b>
<b>2</b>	<b>სამომხმარებლო ფასების ცვლილება</b>	<b>7</b>
<b>3</b>	<b>ინფლაციის ფაქტორები</b>	<b>10</b>
3.1	მონეტარული აგრეგატების დინამიკა	10
	ფართო ფული	11
3.2	საპროცენტო განაკვეთების, სადეპოზიტო ვალდებულებებისა და ეკონომიკის დაკრედიტების დინამიკა	11
3.3	საგალუგო კურსი, დოლარიზაცია და საგადასახდლო ბალანსი	14
	საგალუგო ბაზარი	14
	რეალური და ნომინალური ეფექტური გაცვლის კურსები	16
	საგადასახდლო ბალანსი	16
3.4	წარმოების დანახარჯები	21
	ნავთობის ფასების დინამიკა	21
	გადასახადები	21
	უმუშევრობა	23
	შრომის პროდუქტიულობა, ხელფასები	24
3.5	გამოშვება და მოთხოვნა	24
	გამოშვება	24
	შინამეურნეობის მოხმარება	26
	სახელმწიფო მოხმარება	26
	ინვესტიციები	26

<b>4 ინფლაციის პროგნოზი</b>	<b>28</b>
ეგზოგენური ფაქტორების	
მოსალოდნელი გავლენა	28
ინფლაციის მოდელი	28
ჩანართი 1 – საქართველოს მაკროეკონომიკური მოდელი	29

2007 წლის I კვარტალში, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, გაიზარდა წლიური ინფლაციის მაჩვენებელი – 4.6 პროცენტიდან 9.7 პროცენტამდე. ფასების ღონე 2007 წლის მარტში 1.1 პროცენტით დაეცა, მაგრამ წლიური ინფლაციის მაჩვენებელი, წინა კვარტალთან შედარებით (8.8 პროცენტი), მაინც მაღალი იყო. თუმცა, 2007 წლის I კვარტალში ფასების შემცირების მკვეთრად გამოხატული ტენდენცია არსებობდა, გარდა იანვრისა, როდესაც დაფიქსირდა კომუნალური მომსახურების საფასურის გაორმაგება და მწვანე ღვინოს ფასების დროებითი ზრდა, რამაც საკუთარი წვლილი შეიტანა იანვრის ინფლაციაში.

საანგარიშო პერიოდში კვლავ გაგრძელდა ეკონომიკისათვის გაცემული სესხებისა (წლიური ზრდის ტემპი – 57.4 პროცენტი, 2006 წლის IV კვარტალში – 57.2 პროცენტი) და ეკონომიკიდან მოზიდული დეპოზიტების მოცულობის ზრდა (წლიური ზრდა – 47.8 პროცენტი, 2006 წლის IV კვარტალში – 58 პროცენტი). 2006 წლის დეკემბერთან შედარებით, 2007 წლის მარტის ბოლოსათვის 3.4 პროცენტით შემცირდა სარეზერვო ფულის მასა, ხოლო თვის საშუალო მონაცემების მიხედვით ეს პარამეტრი 6.6 პროცენტით არის შემცირებული. ასევე მოიკლო სარეზერვო ფულის მასის ზრდის წლიურმა მაჩვენებელმა, რომელიც 17.3 პროცენტს გაუტოლდა (2006 წლის IV კვარტალში – 19.2 პროცენტი). ფართო ფულის M2 და M3 აგრეგატების წლიურმა ზრდამ, შესაბამისად, 25.5 და 33.5 პროცენტი შეადგინა, რაც აგრეთვე შემცირებულია წინა კვარტალის მონაცემებთან შედარებით.

საანგარიშო პერიოდში, ისევე, როგორც მთელი 2006 წლის მანძილზე, დაფიქსირდა ლარის აშშ დოლარის მიმართ გაცვლის კურსის გამყარების ტენდენცია. მთლიანობაში, 2007 წლის I კვარტალის განმავლობაში ლარის კურსი აშშ დოლარის მიმართ 0.79 პროცენტით გამყარდა. რაც შეეხება ლარის რეალურ ეფექტურ გაცვლის კურსს, საანგარიშო პერიოდში ის უმნიშვნელოდ – 0.37 პროცენტით, ხოლო ლარის ნომინალური ეფექტური გაცვლის კურსი 0.89 პროცენტით გამყარდა.

მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი 2007 წლის I კვარტალში 385.8 მლნ აშშ დოლარის ტოლი იყო.

საანგარიშო პერიოდში გრადიციულად შენარჩუნდა საგადასახადო შემოსავლების ზრდის მაღალი ტემპი. ამ

მაჩვენებელმა, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 58 პროცენტით მოიმატა. ამასთან, შემცირდა გრანტების წილი სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილში.

2007 წლის პირველი იანვრიდან ამოქმედდა ახალი საბაჟო კოდექსი. აგრეთვე ძალა დაკარგა საქართველოს კანონმა „საბაჟო გადასახადის შესახებ“ – მისი დებულებები ცვლილებებისა და დამატებების სახით შევიდა საგადასახადო კოდექსში. ამჟამად საბაჟო გადასახადების განაკვეთები შეადგენს 0-ს, 5-სა და 12 პროცენტს. საგარიფო პოზიციების თითქმის 90 პროცენტის მიხედვით საბაჟო გადასახადის განაკვეთი ნულის ტოლია.

2006 წელს, მკვეთრად ნეგატიური საგარეო შოკის მიუხედავად, საქართველოს ეკონომიკამ შეინარჩუნა მაღალი ზრდის ტემპი. მშპ-ის წლიური რეალური ზრდის ტემპი 9.4 პროცენტია. ამ მაჩვენებელმა კვარტალების მიხედვით (წინა წლის საშუალოსთან მიმართებით), შესაბამისად, 8.5, 7.9, 9.6 და 11.5 პროცენტი შეადგინა.

2007 წლის ბოლოსათვის სამომხმარებლო ფასების ინდექსის ზრდის საპროგნოზო მაჩვენებელი, 20-პროცენტიანი ალბათობით, 4.53-9.44 პროცენტის ფარგლებში იქნება.

# სამომხმარებლო ფასების სვლილება

# 2

## ცხრილი 2.1

ინფლაციის მნიშვნელობა კლიმრეზონანსული პროდუქტებში (2007 წლის პირველი კვარტალი)

პროდუქტი	შეცვლა
ყველა, იმერული	-0.45%
კვერძი	-0.22%
შაქარი	-0.19%
შეშ	-0.11%
მაზაკის ზამთრის ფესხაყელი	-0.07%
კიბრი	-0.06%
ხორბლის თეთრი პური	-0.06%
ღობიო ხმელი	-0.05%
წიწიბურა	-0.05%
ქათმის ხორცი	-0.04%
ექიმ-თერაპევტის კონსულტაცია	0.13%
ხახვი	0.13%
მხლარიანი	0.15%
ერთობისანი ბინის გაქირავების საფასური	0.16%
ვამლი	0.18%
აგამი <sup>1</sup>	0.20%
მწვანე ლობიო	0.21%
ღაფთაუბების მოსაკრებელი	0.29%
სასმელი წყლის გადასახადი	0.32%
კარტოფილი	0.47%
მწვანილი	0.76%


## ცხრილი 2.2

რეზონანსული ფასების მქონე პროდუქტების წლიური პერიოდული და მათი წლიური ინფლაციის

	ფასის ცვლილება საშუალოდ საქართველოში	წლიური ინფლაციაში
სასმელი წყლის გადასახადი	66%	0.30%
ღაფთაუბების მოსაკრებელი	123%	0.30%
ელექტროენერჯის გადასახადი	59%	1.70%
გამი, ბუნებრივი	32%	0.50%

## ბრაზილი 2.1

თვის ინფლაცია I კვარტალში



<sup>1</sup> იმ სეზონურ პროდუქტებში, რომელიც მოცემულ მთვინეობაში ბაზარზე არ არსებობს, სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ ფასების ინდექსის გათვალისწინება ე.წ. „იმპუტაციის“ მეთოდით და შესაბამისად, ასეთ პროდუქტებს თავიანთი წლიური შედეგით ინფლაციის სიდიდეში.

საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ინფორმაციით, 2007 წლის მარტში სამომხმარებლო ფასების საერთო ღირებულება 1.1 პროცენტით შემცირდა თებერვალთან შედარებით. 2006 წლის იმავე პერიოდში სამომხმარებლო ფასების ზრდა 0.1 პროცენტით იყო. შესაბამისად, 11-პროცენტთან წლიური ინფლაცია 9.7 პროცენტამდე შემცირდა. შედარებით მაღალია და 10.5 პროცენტს შეადგენს საშუალო წლიური ინფლაციის მაჩვენებელი.

სამომხმარებლო ფასებმა 2007 წლის I კვარტალში 2.4 პროცენტით მოიმატა. იანვარ-თებერვალში ინფლაციის მაღალი მაჩვენებელი მნიშვნელოვანწილად მწვანე ლობიოს და მხალეულზე ფასის მკვეთრმა მატებამ, ასევე სასმელი წყლის გადასახადისა და ღაფთაუბების მოსაკრებლის გაზრდამ განაპირობა.


უკანასკნელი ექვსი თვის განმავლობაში, პირველად მარტში დაიკლო სურსათის შეწონილმა ფასმა (2.5 პროცენტით). ამან, სამომხმარებლო კალთაში, სურსათის წონიდან გამოდინარე, თვის დეფლაციაში 1.1-პროცენტთან წელიწადში შეიგნა (იმდენივე, რაც მთლიანად დაფიქსირებული ფასების კლების გოლია). მარტში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ფასის შემცირება ბოსტნეულსა და ბალნეულზე (8.6 პროცენტი), თუმცა, მათი ფასები ჯერ კიდევ 18.5 პროცენტით აღემატება დეკემბრის ფასებს.

მარტის მონაცემებით, წლიური ინფლაციაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს რეგულირებადი ფასის მქონე პროდუქტებს. კერძოდ, სასმელი წყლის გადასახადის, ღაფთაუბების მოსაკრებლის, ელექტროენერჯის გადასახადის ზრდა და ბუნებრივი აირის გაძვირება პირდაპირი ეფექტით წლიური ინფლაციის 2.8 პროცენტული პუნქტით მატებას იწვევს. უახლოეს თვეებში ბუნებრივი გაზის გაძვირება, სავარაუდოდ, კიდევ ერთი პროცენტული პუნქტით გაზრდის წლიური ინფლაციას.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თვის დეფლაცია ცალკეული (წინა თვეებში გაძვირებული) პროდუქტის ფასის კლებით არის გამოწვეული. პროდუქტთა ფასები ძირითადად სტაბილურია, რაზეც საბაზო ინფლაციის მნიშვნელობა მიუთითებს. ორი სტანდარტული გადახრის ფარგლებში მოხვედრილი პროდუქტებისათვის (მთელი კალათის 94 პროცენტი)


ბრაზიპი 2.2

წლიური ინფლაციის განმარტების ცვლილება სხვადასხვა ხანგრძლივობის მოხმარების საქონელსა და მომსახურებაზე




ბრაზიპი 2.3

შანსების ზოგადი 2006 წლის დეკემბრის მონაცემებთან შედარებით



ბრაზიპი 2.4

საბაზო ინფლაცია



\* ერთი სტანდარტული გადახრის ფარგლებში არსებული პროლექტების (-85%) მიხედვით.  
 \*\* ორი სტანდარტული გადახრის ფარგლებში არსებული პროლექტების (-93%) მიხედვით.

0.07 პროცენტს შეადგენს, ხოლო ერთი სტანდარტული გადახრის ფარგლებში მოხვედრილი პროლექტებისათვის (მთელი კალათის 90 პროცენტი) – 0.2 პროცენტს.


2006 წლის განმავლობაში მომსახურების სფეროს მიხედვით გათვლილი წლიური ინფლაცია ზომიერ ფარგლებში იცვლებოდა, მაგრამ 2007 წლის პირველ სამ თვეში ეს მაჩვენებელი გაიზარდა და მარტში 10.8 პროცენტს მიაღწია, რაც ხანმოკლე მოხმარების საქონელზე წლიურ ინფლაციასაც აღემატება. საქონლის მოხმარების ხანგრძლივობის მიხედვით ფასების ცვლილების განხილვა გვიჩვენებს, რომ ყველაზე მეტად ხანმოკლე მოხმარების საქონელი გაძვირდა. მათზე ფასების ზრდა უკანასკნელი ერთი წლის მანძილზე 10.3 პროცენტს შეადგენს, მაშინ, როცა ხანგრძლივი მოხმარების საქონელზე ფასების ზრდა 2.2 პროცენტს უტოლდება, ხოლო საშუალო ხანგრძლივობის მოხმარების საქონელზე ფასებმა 2.3 პროცენტით დაიკლო.

2006 წლის დეკემბერთან შედარებით ხანმოკლე მოხმარების საქონელი 12.3 პროცენტით არის გაძვირებული, მომსახურება – 11.8 პროცენტით, ხოლო საშუალო და ხანგრძლივი მოხმარების საქონლის ფასები, შესაბამისად, 2.0 და 0.8 პროცენტით არის შემცირებული.

2006 წლის დეკემბრიდან დღემდე პრაქტიკულად უცვლელია ფასები პროლექტების შემდეგ ჯგუფებზე: „ალკოჰოლური სასმელები და თამბაქო“, „საოჯახო ნივთები და მოწყობილობა“ და „ტრანსპორტი“. 2007 წლის პირველ სამ თვეში 4.4 პროცენტით შემცირდა განსაცემლისა და ფუნსაცემლის ფასები. საპირისპიროდ, გაიზარდა ფასები შემდეგ ჯგუფებში: „სურსათი და უალკოჰოლო სასმელები“ (3.0 პროცენტით), „საცხოვრებელი სახლი, წყალი, ელექტროენერჯია, აირი და სათბობის სხვა სახეები“ (8.2 პროცენტი) და „ჯანმრთელობის ღირებულება“ (5.0 პროცენტი).

ბრაზიკი 2.5

M2 ფულის მასისა (თვის საშუალო მონაცემებით) და სამომხმარებლო ფასების ფლუიდი ინდექსის ტენდენცია



ცხრილი 2.3

ინფლაციის (სფი) მონაცემები ცალკეული კომპონენტების მიხედვით (პროცენტი), მათი წონა სამომხმარებლო კალათაში (პროცენტი) და ზედაპლანა სფი-ზე (პროცენტული პუნტი)

	2006 წ. დეკემბერი - მარტი, 2007/თებერვალი, 2007			მარტი, 2007/მარტი, 2006		აპრილი, 2006 - მარტი, 2007/აპრილი, 2005 - მარტი, 2006	
	წონა	მთლიანი	შეკლები	მთლიანი	შეკლები	მთლიანი	შეკლები
<b>სულ</b>	100.0%	-1.1%	-1.1%	9.7%	9.7%	10.5%	10.5%
<b>სურსათი და უალკოჰოლო სასმელები</b>	44.3%	-2.5%	-1.1%	14.3%	5.6%	15.9%	6.7%
სურსათი	43.0%	-2.6%	-1.2%	14.7%	5.6%	16.4%	6.6%
პური და პურარძეულები	12.2%	0.3%	0.0%	6.8%	0.8%	3.6%	0.5%
ხორცი და ხორცის პროდუქტები	6.6%	0.5%	0.0%	3.5%	0.2%	12.4%	0.8%
თევზი	1.1%	2.4%	0.0%	5.7%	0.1%	11.0%	0.1%
რძე, ყველი და კვერცხი	5.2%	-10.7%	-0.5%	15.4%	0.6%	22.0%	0.9%
ზეთი და ცხიმი	3.5%	-0.7%	0.0%	4.8%	0.2%	3.1%	0.1%
ხილი, ყურძენი	2.3%	10.2%	0.3%	71.1%	1.4%	35.4%	0.6%
ბოსტნეული, ბაღყეული, კარგოფისი და სხვა ბოლქოვნების ჩათვლით	8.8%	-8.6%	-0.9%	27.2%	2.4%	33.1%	2.6%
შაქარი, ჯემი, თაფლი, ეკონომი, შოკოლადი, საკონდიტრო ნაწარმი	2.7%	-1.7%	0.0%	-6.6%	-0.2%	16.7%	0.4%
კვების სხვა პროდუქტები	0.6%	0.0%	0.0%	8.3%	0.0%	6.2%	0.0%
უალკოჰოლო სასმელები	1.3%	0.2%	0.0%	2.6%	0.0%	2.5%	0.0%
<b>ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო</b>	3.7%	-0.2%	0.0%	-12.8%	-0.6%	-1.6%	-0.1%
<b>განსაცემელი და ფესაცემელი</b>	5.0%	-1.5%	-0.1%	-3.0%	-0.2%	3.1%	0.2%
<b>საცხოვრებელი სახლი, წყალი, ელექტროენერჯია, აირი და სათბობის სხვა სახეები</b>	10.3%	-0.3%	0.0%	31.4%	2.9%	24.3%	2.2%
<b>ავტო, საოჯახო ნივთები და მოწყობილობა, სახლის მოვლა-შეკეთება</b>	3.7%	-1.2%	0.0%	1.4%	0.1%	0.7%	0.0%
<b>ჯანმრთელობის დაცვა</b>	8.0%	2.3%	0.2%	19.4%	1.5%	12.0%	0.9%
<b>გრანსპორტი</b>	9.0%	0.8%	0.1%	2.9%	0.3%	4.8%	0.5%
<b>კაფშირგაბეულობა</b>	4.4%	0.0%	0.0%	0.1%	0.0%	-3.4%	-0.2%
<b>დასვენება, გართობა და კულტურა</b>	2.7%	1.2%	0.0%	-1.1%	0.0%	-0.4%	0.0%
<b>განათლება</b>	3.5%	0.0%	0.0%	5.3%	0.2%	1.4%	0.1%
<b>სასტუმროები, კაფეები და რესტორნები</b>	2.4%	-0.4%	0.0%	6.0%	0.1%	6.2%	0.2%
<b>სხვადასხვა საქონელი და მომსახურება</b>	3.2%	-0.8%	0.0%	3.5%	0.1%	2.6%	0.1%
<b>ხანმოკლე მოხმარების საქონელი</b>	68.0%	-1.5%	-1.1%	10.3%	7.0%	12.6%	8.4%
საშუალო ხანგრძლივობის მოხმარების საქონელი	6.5%	-1.3%	-0.1%	-2.3%	-0.2%	1.5%	0.1%
ხანგრძლივი მოხმარების საქონელი	1.9%	-1.1%	0.0%	2.2%	0.0%	-0.3%	0.0%
მომსახურება	23.6%	0.4%	0.1%	10.8%	2.6%	7.0%	1.7%

ინფორმაციის წყარო: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტისა და საქართველოს ეროვნული ბანკის გამოცემები.



# ინფლაციის ფაქტორები

# 3

## 3.1 მონეტარული აგრეგატების დინამიკა

2007 წლის I კვარტალში სარეზერვო ფულის მაჩვენებელი 40.6 მლნ ლარით (3.4 პროცენტი) შემცირდა და მარგის ბოლოსთვის 1152.7 მლნ ლარი შეადგინა. თვის საშუალო მაჩვენებლების მიხედვით კი მარგში, ლეკემბერთან შედარებით, სარეზერვო ფულის მოცულობამ 83.5 მლნ ლარით (6.6 პროცენტი) მოიკლო.

31 მარტის მდგომარეობით, მთავრობის დეპოზიტების მნიშვნელოვანი მაგება დაფიქსირდა. წლის დასაწყისიდან მათი მოცულობა 278.1 მლნ ლარით გაიზარდა და, მარგის ბოლო მონაცემით, 638.4 მლნ ლარი შეადგინა. მრღა ძირითადად გამოიწვია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მთავრობისათვის გაღარიცხული მოგების გრანსფერმა (40.0 მლნ ლარი) და ბათუმის პორტის მართვის უფლების გადაცემით მიღებულმა შემოსავლებმა (64 მლნ აშშ დოლარი). მთავრობის ანგარიშებზე ამ მასშტაბის თანხების დაგროვება, საპრივატიზაციო ნაკადისა და გრანსფერის გარდა, განაპირობა საგადასახადო შემოსავლების მობილიზაციის მაღალმა მაჩვენებელმა და გრადიციულად მოკრძალებულმა საბიუჯეტო ხარჯებმა.

ბანკების წმინდა დავალიანების მოცულობა 254.6 მლნ ლარიდან (2006 წლის 31 დეკემბერი) 236.8 მლნ ლარამდე შემცირდა. მარგის ბოლოსათვის მიმოქცევაში არსებული სადეპოზიტო სერტიფიკატების მოცულობამ, ნომინალური ღირებულებით, 254.5 მლნ ლარი შეადგინა. ამ ოპერაციებით საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მიმოქცევაში გაუშვა 17.8 მლნ ლარის ლიკვიდური სახსრები.

თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განხორციელებული ინტერვენციების გეგავლენა ფულად ბაზაზე მნიშვნელოვანი იყო. საანგარიშო პერიოდში თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე უცხოური ვალუტის მოთხოვნასა და მიწოდებას შორის დიდი სხვაობა ჩამოყალიბდა, რაც, არსებული სემონურობიდან გამომდინარე, უჩვეულო იყო I კვარტალისათვის. შედეგად, გაცვლის კურსის უმნიშვნელო გამყარების პირობებში, საქართველოს ეროვნული ბანკის წმინდა შესყიდვებმა ამ ინსტრუმენტის გამოყენებით 143.7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, ანუ მიმოქცევაში გავიდა 246.2 მლნ ლარი. ამის გამო, გაიზარდა კომერციული ბანკების მიერ საქართველოს ეროვნულ ბანკში საღარე

საკორესპონდენტო ანგარიშებზე არსებული ნაშთები, რომელთა ოდენობამ 63.6 მლნ ლარი შეადგინა. საანგარიშო პერიოდში კონვერტაციების შედეგად საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 21.6 მლნ ლოლარი (37.0 მლნ ლარი) გაყიდა.

გემოაღნიშნული ფულადი ნაკლების ფონზე, 2007 წლის მარტის სარეზერვო ფულის მაჩვენებელმა, თვის ბოლო მონაცემებით, 1152.7 მლნ ლარი შეადგინა, რაც 40.6 მლნ ლარით ნაკლებია 2006 წლის დეკემბრის ანალოგიურ მონაცემზე. სარეზერვო ფულის წლიურმა ზრდამ, თვის საშუალო მაჩვენებლების მიხედვით, მარტის მდგომარეობით, 17.3 პროცენტი შეადგინა.

**ცხრილი 3.1.1**

სარეზერვო ფულის დინამიკა 2007 წ., თვის საშუალო მონაცემები

	12.06	01.07	02.07	03.07
სარეზერვო ფული	1 268 754	1 218 235	1 208 282	1 185 314
ფული მიმოქცევაში	853 042	848 825	834 789	843 270
ბანკების ლეიბიგები	853 042	369 411	373 493	342 044
საგადასახდელი რეზერვები	415 712	224 227	222 223	230 922
საკორესპონდენტო ანგარიშებზე ნაშთები	194 305	145 183	151 270	111 123

**ცხრილი 3.1.2**

სარეზერვო ფულის დინამიკა 2007 წ., თვის ბოლო მონაცემები

	12.06	01.07	02.07	03.07
სარეზერვო ფული	1 193 231	1 226 839	1 200 329	1 152 684
ფული მიმოქცევაში	929 538	834 396	840 606	857 971
ბანკების ლეიბიგები	263 693	392 443	359 723	294 713
საგადასახდელი რეზერვები	224 559	219 303	223 649	231 147
საკორესპონდენტო ანგარიშებზე ნაშთები	39 135	173 140	136 074	63 566

**ცხრილი 3.1.3**

ფულადი აბრეშაბების ქოველითი ცვლილება 2007 წ., თვის საშუალო მონაცემები

	12.06	01.07	02.07	03.07
<b>ფართო ფული /M3/</b>	<b>2,618,543</b>	<b>2,580,571</b>	<b>2,616,443</b>	<b>2,672,403</b>
ფულადი მასა /M2/	1,327,034	1,295,595	1,287,117	1,334,653
ბანკებსაგარეთ არსებული ნაღდი ფული	774,437	742,375	743,895	745,340
ლარი მიმოქცევაში	867,628	840,015	837,685	846,038
ლეიბიგები ეროვნული ვალუტით	552,597	553,219	543,223	589,312
ლეიბიგები უცხოური ვალუტით	1,291,509	1,284,977	1,329,325	1,337,750

**ცხრილი 3.1.4**

ფულადი აბრეშაბების ქოველითი ცვლილება 2007 წ., თვის ბოლო მონაცემები

	12.06	01.07	02.07	03.07
<b>ფართო ფული /M3/</b>	<b>2,661,674</b>	<b>2,583,541</b>	<b>2,712,182</b>	<b>2,674,368</b>
ფულადი მასა /M2/	1,389,182	1,297,637	1,298,772	1,365,417
ბანკებსაგარეთ არსებული ნაღდი ფული	827,357	739,864	752,811	761,988
ლარი მიმოქცევაში	929,538	834,396	840,606	857,971
ლეიბიგები ეროვნული ვალუტით	561,824	557,773	545,961	603,429
ლეიბიგები უცხოური ვალუტით	1,272,493	1,285,905	1,413,409	1,308,951

ინფორმაციის წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემები

**ფართო ფული**

წლის დასაწყისიდან, მარტის მდგომარეობით, ფართო ფულის აგრეგატი (M3) 0.5 პროცენტით გაიზარდა და 2674 მლნ ლარი შეადგინა, რაც გამოწვეულია უცხოური ვალუტით არსებული ლეიბიგების 2.9-პროცენტიანი ზრდით.


წლის დასაწყისიდან 12.7 მლნ ლარით გაიზარდა M3-ის მაჩვენებელი და 2674.4 მლნ ლარი შეადგინა. ეს პარამეტრი, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 33.5 პროცენტით გაიზარდა. წლის დასაწყისიდან ლეიბიგებმა უცხოური ვალუტით 36.5 მლნ ლარით მოიმატა და მარტის ბოლოს 1308.9 მლნ ლარი შეადგინა. რაც შეეხება ბანკებსაგარეთ არსებულ ნაღდ ფულს, მისი მოცულობა 7.9 პროცენტით შემცირდა, ხოლო საშუალო მაჩვენებლის მიხედვით 3.8 პროცენტით არის შემცირებული. M2-ის მაჩვენებელი მარტის ბოლოს 1.7 პროცენტით (23.8 მლნ ლარით) შემცირდა და 1365.4 მლნ ლარი შეადგინა, რაც მიმოქცევაში გაშვებული ლარის მოცულობის კლებითა და ეროვნული ვალუტით არსებული ლეიბიგების ზრდით არის გამოწვეული.

**3.2. საპროცენტო განაკვეთების, სადეპოზიტო ვალდებულებებისა და ეკონომიკის დაკრედიტების დინამიკა**

2007 წლის I კვარტალში კომერციული ბანკების მიერ ეკონომიკისათვის გაცემული სესხების წლიური ზრდის ტემპმა 57.4 პროცენტი შეადგინა და 3022 მლნ ლარს მიაღწია. აღსანიშნავია, რომ 2006 წლის IV კვარტალში სესხების ზრდის ტემპმა მცირედ მოიკლო და კვარტალური ზრდის მაჩვენებელმა 7.2 პროცენტი შეადგინა. 2007 წლის I კვარტალში სესხების მოცულობის ზრდა კვლავინდებურად სწრაფი ტემპით გაგძელდა და 11.3 პროცენტს გაუტოლდა.


ბრაზიპი 3.2.1

მოკლევადიანი სესხების წილი




ბრაზიპი 3.2.2

ვადგადაცილებული დავალიანების წილი



ბრაზიპი 3.2.3

უცხოური ვალუტით გაცემული სესხების წილი



2007 წლის I კვარტალის ბოლოსათვის მოკლევადიანი სესხების წილი ეკონომიკისათვის გაცემულ სესხებში 31.6 პროცენტი შეადგინა. 2006 წლის შესაბამის პერიოდში მოკლევადიანი სესხების წილი 32.4 პროცენტი იყო. სესხების სტრუქტურაში გრძელვადიანი სესხების წილის მრღა კომერციული ბანკების აქტიური სასესხო პოლიტიკით აიხსნება. ბანკები ხვეწენ რისკების მართვის მეთოდებს, რითაც მათ გრძელვადიანი სასესხო პორტფელის უკეთ მართვის საშუალება ეძლევათ. სესხების ვადიანობის მრღა ბანკებს უმცირებს ახალი სესხის გაცემასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, ხოლო ეკონომიკურ აგენტებს გრძელვადიან სესხებზე მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობას უქმნის, რაც ხელს უწყობს რესურსების პარეტოპტიმალურ განაწილებას.

ბანკების აქტივობა მზარდია სამომხმარებლო ბაზარზე, რის შედეგადაც ფიზიკური პირებისათვის გაცემული სესხების მოცულობა უფრო სწრაფი ტემპით მაგულობს, ვიდრე იურიდიული პირებისათვის გაცემული სესხებისა. 2007 წლის I კვარტალში ფიზიკური პირებისათვის გაცემული სესხების ოდენობა 69.1 პროცენტით გაიზარდა, მაშინ, როდესაც იურიდიულ პირებზე გაცემული სესხების მოცულობა მხოლოდ 53.3 პროცენტით გაიზარდა.

შემცირდა ვადაგადაცილებული დავალიანების წილი, რომელმაც 2007 წლის I კვარტალის ბოლოსათვის მთლიანი სესხების 1.6 პროცენტი შეადგინა. 2006 წლის ანალოგიურ პერიოდში ეს მაჩვენებელი 2.8 პროცენტი იყო. ვადაგადაცილებული დავალიანების კლება საბანკო სექტორში რისკების შემცირებაზე მიუთითებს. აღსანიშნავია, რომ ვადაგადაცილებული დავალიანების მიხედვით დიდი განსხვავება არ შეინიშნება ეროვნული და უცხოური ვალუტით გაცემულ სესხებს შორის. ვადაგადაცილებული დავალიანება ეროვნული ვალუტით გაცემულ სესხებში შეადგენდა 1.6 პროცენტს, ხოლო უცხოური ვალუტით გაცემულ სესხებში – 1.5 პროცენტს.

უცხოური ვალუტით გაცემული სესხების წილი 2007 წლის I კვარტალის ბოლოს მთლიანი სესხების 74.7 პროცენტი იყო. 2006 წლის შესაბამის პერიოდში ანალოგიური მაჩვენებელი 75.3 პროცენტს შეადგენდა. მიუხედავად ერთი წლის მანძილზე სესხების დოლარიზაციის შემცირებისა, შეინიშნება სესხების დოლარიზაციის შეჩერება. 2007 წლის I კვარტალში უცხოური სესხების წილი 0.9 პროცენტული პუნქტით მოიმაგა. თუ გავითვალისწინებთ მოცემული პერიოდის განმავლობაში ლარის გაცვლის კურსის გამყარებას<sup>1</sup>, თვალსაჩინოა, რომ უცხოური ვალუტით გაცემული სესხების მოცულობა უფრო მაღალი ტემპით იზრდება, ვიდრე ლარით გაცემული სესხებისა.

<sup>1</sup> უცხოური ვალუტით გაცემული სესხების წილის გამოთვლისას უცხოური ვალუტით გაცემული სესხები ეროვნული ვალუტით არის გამოსახული (შესაბამისი კურსით).

აღსანიშნავია, რომ გრძელვადიანი სესხების სტრუქტურა გაცილებით მაღალი დოლარიზაციით გამოირჩევა, ვიდრე მოკლევადიანი სესხებისა. 2007 წლის I კვარტალის ბოლოსათვის გრძელვადიანი სესხების დოლარიზაციამ 83.2 პროცენტი შეადგინა, მაშინ, როდესაც მოკლევადიანი სესხების დოლარიზაცია 56.5 პროცენტი იყო. დოლარიზაციის მომატება 2007 წლის I კვარტალის მანძილზე ძირითადად მოკლევადიანი სესხების დოლარიზაციის ზრდის ხარჯზე ხდებოდა. მოცემული პერიოდის განმავლობაში მოკლევადიანი სესხების დოლარიზაციამ 2.8 პროცენტული პუნქტით მოიმატა.


2007 წლის I კვარტალის ბოლოსათვის კომერციული ბანკების მიერ ეკონომიკიდან მოზიდული დეპოზიტების წლიური ზრდის ტემპმა 47.8 პროცენტი შეადგინა და 1912 მლნ ლარს მიაღწია. კვარტალურმა ზრდამ 4.3 პროცენტი შეადგინა, რაც ნაკლებია 2006 წლის IV კვარტალში დაფიქსირებულ 11.3-პროცენტიანი კვარტალური ზრდის მაჩვენებელზე.

მოზიდული დეპოზიტების ოდენობის ზრდა ძირითადად მიმდინარე ანგარიშების მატების ხარჯზე ხდება. მიმდინარე ანგარიშები წლიური 61.1 პროცენტით გაიზარდა, მაშინ, როდესაც ვაღიანმა დეპოზიტებმა მხოლოდ 36.7 პროცენტით მოიმატა. მიუხედავად დაფიქსირებული ზრდის სხვადასხვა ტემპებისა, მიმდინარე ანგარიშების წილი მთლიან სადეპოზიტო ვალდებულებებში მნიშვნელოვანი ისტორიული ტენდენციით არ გამოირჩევა და დაახლოებით 50 პროცენტის ფარგლებში არის მოქცეული.

იურიდიული პირების დეპოზიტების მოცულობა 59.6 პროცენტით გაიზარდა, ხოლო ფიზიკური პირების დეპოზიტების – მხოლოდ 38.1 პროცენტით. იურიდიული პირების დეპოზიტების წილიც არ გამოირჩევა მნიშვნელოვანი ფლუქტუაციებით.

დეპოზიტების დოლარიზაციაც დაახლოებით ისეთსავე დინამიკას იმეორებს, როგორც სესხების დოლარიზაციას ახასიათებს. 2007 წლის I კვარტალის ბოლოსათვის უცხოური ვალუტით მოზიდული დეპოზიტების წილმა 68.4 პროცენტი შეადგინა. აღსანიშნავია, რომ დეპოზიტების დოლარიზაცია გაცილებით დაბალია სესხების დოლარიზაციამდე. ეს განსხვავება აიხსნება იმ ფაქტით, რომ კომერციული ბანკები მოიზიდავენ მნიშვნელოვანი მოცულობის უცხოურ სახსრებს, რომელთაც, სავალუტო რისკის თავიდან აცილების მიზნით, ისევ უცხოური ვალუტით გასცემენ სესხების სახით. ეს ხდება იმის მიუხედავად, რომ ეკონომიკის მოთხოვნა ლარით გაცემულ სესხებზე არსებობს. ამის დამადასტურებელია ეროვნული ვალუტით გაცემულ სესხებზე დაფიქსირებული უფრო მაღალი საპროცენტო განაკვეთი, ვიდრე უცხოური ვალუტით გაცემულ სესხებზე.

ბრაზიკი 3.2.4  
მიმდინარე ანგარიშების წილი მთლიან სადეპოზიტო ვალდებულებებში



ბრაზიკი 3.2.5  
უცხოური ვალუტით მოზიდული დეპოზიტების წილი




2007 წლის I კვარტალის მონაცემების მიხედვით, კომერციული ბანკების მიერ ეროვნული ვალუტით გაცემულ სესხებზე საშუალო საპროცენტო განაკვეთი 20.9 პროცენტი იყო. ეს მაშინ, როდესაც უცხოური ვალუტით გაცემულ სესხებზე საშუალო საპროცენტო განაკვეთი 16.5 პროცენტს შეადგენდა.

ეროვნული ვალუტით გაცემულ სესხებზე უცხოური ვალუტით გაცემულ სესხებთან შედარებით უფრო მაღალი საპროცენტო განაკვეთი ფიქსირდებოდა მხოლოდ საშუალო და გრძელვადიან სესხებზე. ერთიდან სამ თვემდე ვადით, ეროვნული და უცხოური ვალუტით გაცემულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთები თითქმის თანაბარი იყო. ერთ თვეზე ნაკლები ვადიანობის მქონე სესხებისათვის კი უცხოური ვალუტით გაცემულ სესხებზე მნიშვნელოვნად მაღალი საპროცენტო განაკვეთი დაფიქსირდა. თუმცა, სეგმენტი, რომელიც 3 თვემდე ვადიანობის მქონე სესხებს მოიცავს, მეტად მცირეა და მთლიანი სესხების 8.9 პროცენტს შეადგენს.

საინტერესოა, რომ ერთი წლის და ნაკლები ვადიანობის მქონე სესხებისათვის დოლარიზაციის მაჩვენებელი არც ისე მაღალია. სესხების ამ სეგმენტში მხოლოდ 56.5 პროცენტია უცხოური ვალუტით გაცემული. ერთ წელზე მეტი ვადის მქონე სესხებისათვის ეს მაჩვენებელი 83.2 პროცენტს აღწევს.

აღსანიშნავია, რომ ვადიანობის მიხედვით საპროცენტო განაკვეთი სესხებზე მნიშვნელოვნად მცირდება, მაშინ, როდესაც დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთი ვადის მრდის შესაბამისად მაგულობს, ანუ სესხებსა და დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთებს შორის სხვაობა გაცილებით დიდია მოკლევადიან პერიოდში. ვადიანობის მრდასთან ერთად ეს განსხვავება მცირდება. აღნიშნული ძირითადად განპირობებულია სესხის გაცემასთან დაკავშირებული ხარჯებით, რის შემცირებაც შესაძლებელია ბანკების რისკების მართვის გაუმჯობესებით, საკრედიტო რეესტრის შექმნითა და საკრედიტო ბიუროების განვითარებით.

ბრაზიკი 3.2.6  
საპროცენტო განაკვეთები სესხებზე ვადიანობის მიხედვით (სვედონებზე აღნიშნულია სესხის მოცულობა)




### 3.3. სავალუტო კურსი, დოლარიზაცია და საგასახდელო ბალანსი

#### სავალუტო ბაზარი

2007 წლის I კვარტალში კვლავ სახეზე იყო ლარის აშშ დოლარის მიმართ წინა წლის განმავლობაში დაფიქსირებული გაცვლის კურსის გამყარების ტენდენცია. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საანალიზო პერიოდის მანძილზე ლარის გაუფასურების ორი მოკლევადიანი პერიოდი (თითოეული ერთ კვირაზე ნაკლებ ხანს გრძელდებოდა) გამოიკვეთა. თუ


ბრაზი30 3.3.1

თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე უცხოური ვალუტის მიწოდება-მოთხოვნა საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით 2007 წ., I კვარტალი



ბრაზი30 3.3.2


ლარის ბანკოტში კურსის დინამიკა 2007 წ., I კვარტალი



ინფორმაციის წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემები

ბრაზი30 3.3.3

ლარის ბანკოტში კურსის დინამიკა შვეიცარია და აშშ დოლარის მიმართ 2005-2007 წწ.



ინფორმაციის წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემები


კვარტალის დასაწყისში ლარის კურსი 1.7135-ის გოლი იყო, 31 მარტისთვის ის უკვე 1.70-მდე ჩამოვიდა, რაც 0.79-პროცენტთან გამყარებას შეესაბამება. ამასთან, 2006 წლის I კვარტალთან შედარებით ლარის კურსი გამყარდა როგორც პერიოდის ბოლო (6.95 პროცენტი), ისე პერიოდის საშუალო (5.69 პროცენტი) მონაცემებით, რაც მნიშვნელოვნად აღემატება 2006 წლის IV კვარტალში დაფიქსირებულ ანალოგიურ პარამეტრებს – შესაბამისად, 4.4-სა და 3.4 პროცენტს.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე კვლავ მაღალი აქტიურობა აღინიშნებოდა. მიუხედავად იმისა, რომ წინა კვარტალთან შედარებით თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე ბრუნვა რამდენადმე შემცირდა, რაც ძირითადად სემონური ფაქტორებით იყო განპირობებული, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებით მისი მნიშვნელოვანი მრღა დაფიქსირდა. კერძოდ, 2006 წლის I კვარტალთან შედარებით, 3.7-ჯერ გაიზარდა კომერციული ბანკების მხრიდან უცხოური ვალუტის მიწოდება, ხოლო მოთხოვნა – 20 პროცენტით.


ლარის გაცვლის კურსის თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე დაფიქსირებული დინამიკის მსგავსი იყო ლარის კურსის ქვევა ბანკოტურ სეგმენტზე, ხოლო განსხვავება ლარის ყიდვა-გაყიდვის კურსებს შორის საანგარიშო პერიოდში შედარებით მცირე იყო (საშუალო მნიშვნელობები კვარტალის განმავლობაში – 1.7072 და 1.7125; სტანდარტული გადახრები – 0.007268 და 0.007624, შესაბამისად, ყიდვა-გაყიდვის კურსებისათვის). ეს მიუთითებს, რომ ლარის კურსის დინამიკას ქვეყნის მასშტაბით ერთი და იგივე მამოძრავებელი ძალა განსამდგრავდა. ამასთან ერთად, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სტანდარტული გადახრების შემცირება წინა კვარტალებთან შედარებით მიანიშნებს, რომ, მიუხედავად ლარის მონოკონურად გამყარების ტენდენციისა, ბაზარი ამ გარემოებას საგანგაშოდ არ მიიჩნევს და მასზე სტაბილურობა იმრღება.

ლარის გაცვლის კურსი ევროს მიმართ გრადიციულად განისამდგრებოდა როგორც აშშ დოლარის ლარის მიმართ შემოსხენებული გაუფასურებით, ისე აშშ დოლარის ევროს მიმართ გაცვლის კურსის დინამიკითაც. შესაბამისად, ევროს მიმართ ლარის კურსი კვარტალის განმავლობაში 0.3 პროცენტით გაუფასურდა. ლარის გაცვლის კურსი სხვა ვალუტების მიმართ სხვადასხვა დინამიკით ხასიათდებოდა. ასე, მაგალითად, ლილი ბრიტანეთის გირვანქა სკერლინგის მიმართ აღვილი ჰქონდა ლარის კურსის გამყარებას 1.07 პროცენტით; რუსული რუბლისა და თურქული ლირას მიმართ ლარი დაახლოებით ერთი და იმავე მანქვნებით – 0.6 პროცენტით გაუფასურდა, შვეიცარიული ფრანკის მიმართ კი 0.7 პროცენტით გამყარდა.


ბრაზილი 3.3.4  
 ლარის ბაცვლის კურსის დინამიკა რუსული რუბლისა  
 და ლიბი ბრიტანეთის პირენაჟა სტერლინგის მიმართ  
 2005-2007 წწ.



ბრაზილი 3.3.5  
 ლარის ბაცვლის კურსის დინამიკა შვეიცარიული ფრანკისა  
 და თურქული ლირას მიმართ  
 2005-2007 წწ.



ბრაზილი 3.3.6  
 ლარის რეალური და ნომინალური ეფექტური ბაცვლის  
 კურსის ინდექსი  
 ლეკემბერი, 1995=100



ინფორმაციის წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემები

## რეალური და ნომინალური ეფექტური გაცვლის კურსები

2007 წლის I კვარტალში რეალური ეფექტური გაცვლის კურსი, 2006 წლის IV კვარტალთან შედარებით, უმნიშვნელოდ (0.37 პროცენტით) გამყარდა. ამასთან, გასული წლის I კვარტალთან შედარებით იგივე პარამეტრი 4.98 პროცენტით გამყარდა. რაც შეეხება ნომინალურ ეფექტურ გაცვლის კურსს, ის კვარტალის განმავლობაში 0.89 პროცენტით არის გამყარებული, გასული წლის მარტთან შედარებით კი სახეობა 2.73 პროცენტით გამყარება. რეალური კურსის აღნიშნული დინამიკა, ძირითადად, ლარის ნომინალური კურსის დინამიკით აიხსნება.

ლარის რეალური გაცვლის კურსის დინამიკა ცალკეული ვალუტების მიმართ არაერთგვაროვან სურათს იძლევა. კვარტალის განმავლობაში ლარის რეალური გაცვლის კურსი გამყარდა ევროსა (2.82 პროცენტი) და აშშ დოლარის (1.68 პროცენტი) მიმართ, ხოლო გაუფასურდა თურქული ლირასა (0.61 პროცენტი) და რუსული რუბლის (0.61 პროცენტი) მიმართ.


## საგადასახდელო ბალანსი

2007 წლის I კვარტალში მიმდინარე ანგარიშის ლეფიციტმა 385.8 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

საგადასახდელო ბალანსის მიმდინარე ანგარიშის ლეფიციტს კვლავ განაპირობებს საქონლით საგარეო ვაჭრობის უარყოფითი სადლო, რომელმაც გასულ წელს 2 მლრდ აშშ დოლარს გადააჭარბა, ხოლო ა. წ. I კვარტალში 597.7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. 2006 წელს სავაჭრო ლეფიციტის გამომწვევი ძირითადი ფაქტორები იყო გამრდილი ინვესტიციები და რუსეთის მიერ საქართველოსათვის დაწესებული ემბარგო. 2007 წლის I კვარტალის მაღალი სავაჭრო ლეფიციტი გამოწვეულია იმპორტის წინმსწრები ზრდის ტემპით ექსპორტთან შედარებით. კერძოდ, თუ იმპორტმა 2007 წლის I კვარტალში გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 36 პროცენტით მოიმატა, ექსპორტი მხოლოდ 4 პროცენტით გაიზარდა და 390.5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. თუმცა, ამ მონაცემების ინტერპრეტაციისას გარკვეული გარემოებების მხედლობაში მიღებაა საჭირო. კერძოდ, 2007 წლის I კვარტალის ექსპორტის შედარება ხდება რუსეთის ემბარგოს დაწესებამდე არსებულ დონესთან, მაშინ, როდესაც რუსეთში რეგისტრირებული ექსპორტი, საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის მიხედვით, 2006 წლის I კვარტალში შეადგენდა 43.8 მლნ აშშ დოლარს, ხოლო მიმდინარე

ბრაზიკი 3.3.7


ლარის რეალური ბაზვლის კურსის ინდექსი  
სხვადასხვა პალუმპის მიმართ  
ლექემბერი, 1995=100



ინფორმაციის წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემები


ბრაზიკი 3.3.8

მინერალური და ტკბილი წყლების მსაპორტის ინდექსი



ბრაზიკი 3.3.9

ლარის მსაპორტის ინდექსი  
2005-2006 წწ.



წლის I კვარტალში 13.3 მლნ აშშ დოლარია<sup>1</sup>. რუსეთის მიერ დაწესებული ემბარგოს უარყოფითი შედეგები ჯერ სრულად არ არის განეიტრალებული, განსაკუთრებით ეს ეხება მინერალურ წყლებსა და ყურძნის ნაგურალურ ღვინოებს. თუ მინერალური წყლების ექსპორტი გასული წლის I კვარტალში 11.2 მლნ აშშ დოლარი იყო, მიმდინარე წელს იგი მხოლოდ 5.7 მლნ აშშ დოლარია და მცირედით აღემატება 2005 წლის I კვარტალის შესაბამის მაჩვენებელს. მოხერხდა რუსეთში ექსპორტირებული მინერალური წყლების ნაწილის გადამისამართება სხვა ქვეყნებში, კერძოდ 2007 წლის I კვარტალში, 2006 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, დანარჩენ ქვეყნებში (რუსეთის გარდა) ექსპორტირებული იყო 2.7 მლნ აშშ დოლარით მეტი ღირებულების მინერალური წყლები, ანუ ადგილი ჰქონდა 90 პროცენტით ზრდას. საქართველოდან მინერალური წყლების ექსპორტის მოცულობა გაიზარდა უკრაინაში, ლიგვაში (ლიგვის ბაზარი ათვისებულ იქნა ემბარგოს დაწესების შემდეგ), ამერბაიჯანში, თურქმენეთსა და ყაზახეთში. შედარებით სტაბილური იყო ტკბილი წყლების<sup>2</sup> ექსპორტი. როგორც მინერალური, ისე ტკბილი წყლების ექსპორტის ვარდნის პიკი აღინიშნა 2006 წლის აგვისტო-სექტემბერში, რის შემდეგაც შეინიშნება სტაბილური ზრდა (გრაფიკი 3.3.8).

გაცილებით რთულია მდგომარეობა ნაგურალური ღვინის ექსპორტთან დაკავშირებით. მიმდინარე წლის I კვარტალში ღვინის ექსპორტის მოცულობა მხოლოდ 4.5 მლნ აშშ დოლარი იყო, მაშინ, როცა გასული წლის ანალოგიურ პერიოდში ღვინის ექსპორტი შეადგენდა 21.5 მლნ აშშ დოლარს, ხოლო 2005 წლის I კვარტალში – 13.2 მლნ აშშ დოლარს. ემბარგოს დაწესებისთანავე აღინიშნა ღვინის ექსპორტის მკვეთრი კლება როგორც ღირებულებით, ისე რაოდენობრივი მაჩვენებლის მიხედვით და ეს ღონე შენარჩუნებულია დღემდე, ზრდის მცირე პიკით 2006 წლის დეკემბერში (გრაფიკი 3.3.9).

რაც შეეხება თხილის ექსპორტს, რომელმაც მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა საქართველოს ექსპორტში და რომელშიც რუსეთის მნიშვნელოვანი წილი ჰქონდა, რაოდენობრივი მაჩვენებლის მიხედვით ემბარგოს შემდეგ არა თუ შემცირდა, არამედ გაიზარდა კიდევ. თუ 2005 წელს თხილის ექსპორტი შეადგენდა 10.0 ათას გონას (აქედან, რუსეთში 2.5 ათასი გონა), 2006 წელს ექსპორტირებულ იქნა 12.6 ათასი გონა (რუსეთში 0.7 ათასი გონა) თხილი, ხოლო 2007 წლის I კვარტალში მისი ექსპორტის მოცულობა, გასული წლის

<sup>1</sup> რუსეთის მიერ დაწესებული ემბარგო არ აგარუნდა გოგალურ ხასიათის და მოიცავდა ძირითადად საკვების და სოფლის მეურნეობის პროდუქტებს. I კვარტალში რუსეთში ექსპორტირებული არკინების ლოკომოტივები – 7.3 მლნ აშშ დოლარს, ფეროშენადნობები – 4.7 მლნ აშშ დოლარს იტენობით და სხვა საქონელი.  
<sup>2</sup> ამ სახაქონლო ჯგუფში შედის სხვადასხვა სახის ლიმონით, კოკა-კოლა და მსგავსი სასმელები.



**ცხრილი 3.3.1**

**ძირითადი სამსპორტო საქონელი (მლნ აშშ დოლარი)**

საქონლის დასახელება	I კვ- 2006	II კვ- 2006	III კვ- 2006	IV კვ- 2006	I კვ- 2007
ექსპორტი, სულ	221,4	236,0	248,3	286,8	225,2
მათ შორის:					
სილენძის მადნები და კონცენტრატები	10,17	23,01	21,61	24,75	21,00
შავი ლითონების ნარჩენები და ჯართი ფეროშენადნობები	13,55	20,33	19,47	19,08	20,80
სასუბუქები მინერალური ან ქიმიური, ამოცოვანი	9,98	9,02	13,46	14,17	14,29
მსუბუქი ავტომობილები	4,48	9,48	15,50	21,17	13,10
სპირტიანი სასმელები	8,41	5,27	8,43	7,97	11,58
კაკალი სხვა, ახალი ან გამზმარი	16,99	8,61	6,26	24,72	10,66
ოქროს დაუქუთხეველი ან ნახევრადამუქეველი	11,10	11,85	12,54	13,89	9,44
პორცლანდუქვები	4,05	7,43	7,87	9,43	9,21
წყლები შაქრის დანამატების შემცველობით	4,73	6,21	5,93	6,18	7,40
რკინის ან ტრამვების დოკუმენტაციის ნაწილები	0,30	0,34	0,72	0,89	7,26
სილენძის ნარჩენები და ჯართი მინერალური წყლები	3,76	7,99	9,29	9,12	6,83
ქრომის ნაგურალური ლეინიები	11,16	7,78	1,81	3,31	5,74
დანარჩენი პროდუქცია	21,53	5,56	6,23	7,73	4,50
დანარჩენი პროდუქცია	81,56	93,06	89,02	104,54	65,32

**ცხრილი 3.3.2**

**მსპორტის დინამიკა ძირითადი პარტნიორი ქვეყნების მიხედვით (მლნ აშშ დოლარი)**

ქვეყანა	I კვ- 2006	II კვ- 2006	III კვ- 2006	IV კვ- 2006	I კვ- 2007
ექსპორტი, სულ	221,4	236,0	248,3	286,8	225,2
მათ შორის:					
თურქეთი	17,3	27,3	36,6	43,7	35,8
ამერიკის შეერთებული შტატები	14,6	20,2	22,4	34,9	22,2
სომხეთი	12,4	20,8	18,2	22,2	21,5
უკრაინა	12,8	14,0	14,7	15,5	17,0
რუსეთი	43,8	10,0	13,1	8,7	13,3
გერმანია	6,9	10,9	6,5	21,1	11,8
ყაზახეთი	2,7	3,9	3,0	5,8	11,2
აშშ	15,6	12,5	23,9	6,8	10,6
კანადა	10,1	12,0	12,8	14,0	9,5
ესპანეთი	2,7	4,9	7,0	2,0	9,2
ბულგარეთი	11,6	20,2	18,3	12,2	7,9
იტალია	7,3	6,3	2,8	7,7	7,3
გაერთიანებული სამეფო	9,4	5,9	3,8	5,4	6,2
საფრანგეთი	0,4	2,9	4,2	23,3	4,7
საბურძნეთი	0,3	0,2	1,7	3,3	4,0
დანარჩენი ქვეყნები	53,4	64,2	59,2	60,2	33,0

**ცხრილი 3.3.3**

**ძირითადი საიმპორტო საქონელი (მლნ აშშ დოლარი)**

საქონლის დასახელება	I კვ- 2006	II კვ- 2006	III კვ- 2006	IV კვ- 2006	I კვ- 2007
იმპორტი, სულ	682,5	887,1	1 023,2	1 085,0	1 044,5
მათ შორის:					
ნავთობის აირები და აირისებრი ნახშირწყალბადები	57,4	44,7	40,6	70,4	115,7
მ. შ. ბუნებრივი აირი	57,1	43,0	38,9	68,4	114,2
ნავთობი და ნავთობპროდუქტები	80,8	122,5	142,1	97,7	97,0
მსუბუქი ავტომობილები	65,5	72,8	70,2	86,9	79,1
სამკურნალო საშუალებები	25,4	31,1	25,5	32,6	36,5
ხორბალი და მესღინი	16,9	20,7	26,9	34,5	26,4
შავი ლითონების სხვა ნაწარმი	0,8	1,4	3,7	6,3	21,2
ნახშირბადიანი ფოლადის წნელები	6,2	8,9	11,0	7,0	19,3
გამომთვლელი მანქანები და მათი ბლოკები	8,0	10,3	14,2	14,0	14,1
რადიოსიგნალური გადამცემი აპარატურა	8,1	12,5	18,6	19,6	13,9
შაქარი	11,0	16,4	22,4	15,8	12,6
დანარჩენი პროდუქცია	402,6	546,0	648,0	700,2	608,6

ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 5.7 პროცენტით გაიზარდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ, თხილზე ფასების შემცირების გამო, ღირებულებით გამოსახულებაში ადგილი აქვს მისი ექსპორტის კლებას. საქართველოდან თხილი ძირითადად ევროკავშირის ქვეყნებსა და უკრაინაში გადის. ასევე, შესაძლებელი გახდა რუსეთის ემბარგოს გავლენის განეიტრალება სასაქონლო ჯგუფზე „სპირტიანი სასმელები“, რომლის ექსპორტში გასული წლის I კვარტალში რუსეთის წილი შეადგენდა 66 პროცენტს, ანუ 5.55 მლნ აშშ დოლარს. ბაზრების ღირებულების კვალობაზე, ემბარგოს შედეგად ამ საქონლის ექსპორტი კი არ შემცირდა, არამედ გაიზარდა და 2007 წლის I კვარტალში დაფიქსირდა 38-პროცენტის მატება 2006 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. მიუხედავად ამისა, რუსეთის ემბარგოს გავლენა ჯერ კიდევ გრძელდება, თუ გასულ წელს ემბარგოს გამო საქართველოს ექსპორტს დააკლდა 100 მლნ აშშ დოლარამდე, მიმდინარე წლის I კვარტალში ეს მაჩვენებელი, დაახლოებით, 20 მლნ აშშ დოლარს შეადგენს.

2007 წლის იანვარ-მარტში ძირითადი საექსპორტო საქონლის ჩამონათვალში პირველ ადგილზეა „სილენძის მადნები და კონცენტრატები“, მეორეზე – „შავი ლითონების ჯართი“, ხოლო მესამეზე – „ფეროშენადნობები“. ათეულს მიღმა დარჩა „მინერალური წყლები“ და „ქრომის ნაგურალური ლეინიები“. 2007 წლის I კვარტალის ძირითადი საექსპორტო პროდუქციის მონაცემები კვარტალურ დინამიკაში 2006 წლიდან მოცემულია ცხრილში 3.3.1.

2007 წლის I კვარტალის მონაცემების მიხედვით, რუსეთმა დაკარგა პირველი საექსპორტო პარტნიორის ადგილი (2006 წლის I კვარტალში რუსეთის წილი საქართველოს ექსპორტში შეადგენდა 20 პროცენტს) და მეხუთეზე გადაინაცვლა.

I კვარტალის ექსპორტის მონაცემები ძირითადი პარტნიორი ქვეყნების მიხედვით კვარტალურ დინამიკაში 2006 წლიდან მოცემულია ცხრილში 3.3.2.

რაც შეეხება იმპორტს, რუსეთის მიერ შექმნილ ბარიერებს დიდი გავლენა არ მოუხდენია მის გეოგრაფიულ არეალსა და სასაქონლო სტრუქტურაზე. მაგალითად, რუსეთიდან ხორბლის იმპორტის დანაკლისის ჩანაცვლება ნაწილობრივ ხდება ყაზახეთსა და ამერიკის შეერთებული შტატებიდან. ძირითად საიმპორტო პროდუქციას კვლავ ნავთობპროდუქტები წარმოადგენს, თუმცა, ამჯერად პირველ ადგილზეა ნავთობის აირები და ამის ერთადერთი მიზეზი რუსეთის მიერ ბუნებრივი გაზის გაძვირებაა. I კვარტალის ძირითადი საიმპორტო პროდუქციის მონაცემები კვარტალურ დინამიკაში 2006 წლიდან მოცემულია ცხრილში 3.3.3.

## ცხრილი 3.3.4

იმპორტის ღირებულება კვირტაში პარტნიორი ქვეყნების მიხედვით (მლნ აშშ დოლარი)

ქვეყანა	I კვ. 2006	II კვ. 2006	III კვ. 2006	IV კვ. 2006	I კვ. 2007
იმპორტი, სულ	682,5	887,1	1023,2	1085,0	1044,5
მათ შორის:					
რუსეთი	128,2	141,6	140,9	148,0	168,5
თურქეთი	77,7	121,2	144,9	178,8	136,2
უკრაინა	51,1	71,9	98,4	98,8	92,4
გერმანია	68,1	92,2	86,3	104,6	86,3
აზერბაიჯანი	50,2	82,9	86,0	99,3	75,6
არაბთა გაერთიანებული საამიროები	21,2	22,4	25,8	39,6	42,4
ჩინეთი	17,4	23,5	29,1	33,3	41,5
ბულგარეთი	26,8	32,8	33,8	22,1	38,5
აშშ	27,1	30,1	28,5	44,0	35,5
იტალია	15,1	23,5	33,7	29,9	25,3
ნიდერლანდები	13,9	18,2	21,0	22,6	22,3
თურქმენეთი	19,2	27,8	39,6	14,4	21,2
რუმინეთი	8,7	9,5	15,0	7,5	20,5
საფრანგეთი	15,0	17,9	20,2	15,6	20,0
ყაზახეთი	3,6	5,4	3,5	12,9	18,5
დანარჩენი ქვეყნები	139,2	166,3	216,4	213,6	199,8

პრაქტიკულად არ შეცვლილა იმპორტის გეოგრაფიული სტრუქტურაც. რუსეთმა, რომელიც უკანასკნელ წლებში საქართველოსათვის პირველი იმპორტიორი ქვეყანა იყო, 2006 წლის II კვარტალიდან ადგილი თურქეთს დაუთმო, თუმცა ბუნებრივ აირზე ფასის მომატებით 2007 წლის I კვარტალში კვლავ პირველ პოზიციას დაუბრუნდა. რუსეთის შემდეგ არის თურქეთი, უკრაინა, გერმანია და აზერბაიჯანი. მიმდინარე წლის I კვარტალის იმპორტის მონაცემები ძირითადი პარტნიორი ქვეყნების მიხედვით კვარტალურ დინამიკაში 2006 წლიდან მოცემულია ცხრილში 3.3.4.

მომსახურებით საგარეო ვაჭრობის ბალანსი დადებითია და 40.0 მლნ აშშ დოლარს შეადგენს. მომსახურების ექსპორტმა 2007 წლის I კვარტალში 223.2 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით გაზრდილია 18 პროცენტით, ხოლო მომსახურების იმპორტი გაიზარდა 20 პროცენტით და 183.3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. მნიშვნელოვანი დადებითი სალდოთი გამოირჩევა საგრანსპორტო მომსახურება (19 მლნ აშშ დოლარი), გურისგული მომსახურება (23 მლნ აშშ დოლარი), უარყოფითი სალდოთი კი – დაზღვევის მომსახურება (-18 მლნ აშშ დოლარი). 2007 წლის I კვარტალში ქვეყნიდან გასული საქართველოს მოქალაქეების რაოდენობა, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 37.4 პროცენტით გაიზარდა და 303.5 ათასი კაცი შეადგინა. უფრო მეტად – 46.0 პროცენტით არის გაზრდილი ქვეყანაში შემოსულია რიცხვი, თუმცა, აბსოლუტური მაჩვენებლის მიხედვით, ეს ციფრი კვლავ ნაკლებია საქართველოდან გასული მოქალაქეების რაოდენობაზე და 294.2 ათას კაცს შეადგენს. კიდევ უფრო არის გაზრდილი სხვა ქვეყნების როგორც შემომსვლელ, ისე გამსვლელ მოქალაქეთა რაოდენობა. 2007 წლის I კვარტალში საქართველოში შემოვიდა 184.9 ათასი უცხოელი, რაც 54 პროცენტით აღემატება 2006 წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს, ხოლო საქართველოდან გავიდა უცხოეთის 182.3 ათასი მოქალაქე, ანუ წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე 58 პროცენტით მეტი. ეს ყოველივე გურისგული მომსახურების ექსპორტის მოცულობის ზრდას განაპირობებს.

მიმდინარე ტრანსფერები და ფულადი გზავნილები კვლავ რჩება არა მარტო საგადასახდელი ბალანსის, არამედ ქვეყნის სამომხმარებლო ბაზრის კონიუნქტურის განმსაზღვრელ მნიშვნელოვან ფაქტორად. 2007 წლის I კვარტალში ფულადი გზავნილების მოცულობა, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 61.4 პროცენტით გაიზარდა. შემოსული თანხის უდიდესი ნაწილი, 63.4 პროცენტი, კვლავ რუსეთზე მოდის. ყველაზე მეტად ფულადი გზავნილების ოდენობა გაიზარდა ყაზახეთიდან – 4-ჯერ, 2-ჯერ და მეტად აშშ-დან, ბელგიასა და ესპანეთიდან (თითოეულიდან). ასევე გაზრდილია საბიუჯეტო გრანტების მოცულობა,

რომელიც 2006 წლის I კვარტალში (როგორც კაპიტალური, ისე მიმდინარე) 6.6 მლნ აშშ დოლარს შეადგენდა, ხოლო მიმდინარე წლის შესაბამის პერიოდში 18.6 მლნ აშშ დოლარს აღწევს. ასევე მოიმატა საქართველოში ჰუმანიტარული საქონლის იმპორტმა – 2007 წლის I კვარტალში 9.9 მლნ აშშ დოლარი და გასული წლის ანალოგიურ პერიოდში 5.4 მლნ აშშ დოლარი. ტრანსფერების მრდა, რომელიც შეიზიშნება მიმდინარე საანგარიშო პერიოდში, რამდენაღმე შეამცირებს საგარეო ვაჭრობის დეფიციტით გამოწვეულ მიმდინარე ანგარიშის დეფიციტს.


2006 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა მნიშვნელოვნად გაიზარდა და მილიარდ აშშ დოლარს გადააჭარბა. წინასწარი მონაცემებით, 2007 წელსაც მოსალოდნელია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ოდენობის მკვეთრი მრდა და ის, საგარეოდ, მილიარდ-ნახევარ აშშ დოლარს გადააჭარბებს. ამ ინვესტიციების ძირითადი ნაწილის შემოსვლა წლის მეორე ნახევარშია მოსალოდნელი, თუმცა I კვარტალშიც ჰქონდა ადგილი ინვესტიციების მნიშვნელოვანი ოდენობით შემოღინებას. კერძოდ, 2007 წლის იანვარ-მარტში პრევაგიაციის პროცესის შედეგად განხორციელდა 91.5 მლნ აშშ დოლარის პირდაპირი ინვესტიცია. კომპანია BP-ის მიერ განხორციელებულმა ინვესტიციებმა შეადგინა 26 მლნ აშშ დოლარი. საბანკო სექტორში რეინვესტიციის გარეშე განხორციელდა 6.5 მლნ აშშ დოლარის პირდაპირი ინვესტიცია, ხოლო რეინვესტიციის ჩათვლით 14 მლნ აშშ დოლარის. არასაფინანსო კორპორაციების სექტორში განხორციელებულმა პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა 154.5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რამაც ჯამში მოგვცა 286.4 მლნ აშშ დოლარის ინვესტიცია, რაც 96 პროცენტით აღემატება გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელს.

2007 წლის I კვარტალში საქართველოს ეკონომიკაში არ განხორციელებულა ახალი პორტფელის ინვესტიციები, პირიქით, საქართველოს რეზიდენტის მიერ (ერთ-ერთი ქართული ბანკი) განხორციელდა პორტფელის ინვესტიცია საზღვარგარეთ – 20.2 მლნ აშშ დოლარის ოდენობით. რაც შეეხება სხვა ინვესტიციებს, აქაც მნიშვნელოვანი მრდა გვაქვს. მათმა წმინდა ნაკაღმა 125.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, ანუ 3-ჯერ მეტი გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე.

2007 წლის იანვარ-მარტში გარკვეული ცვლილებები მოხდა სახელმწიფო და სახელმწიფოს გარანტიით აღებული ვალდების სტრუქტურაში. კერძოდ, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ თავისივე გარანტიით იგვირთა ენერგოსექტორის განვითარებისთვის მიღებული სესხები, რომელთა მოცულობამ 75.1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. მიმდინარე წლის I კვარტალში აღებულ იქნა ახალი სესხი – სახელმწიფოს მხრიდან 16.75 მლნ აშშ დოლარის ოდენობით და საქართველოს ეროვნული ბანკისაგან

ბრაზილი 3.4.1

ნაწლი ნაწილის ფასების ინფლაცია (აშშ-ის ნაწილის ბაზარზე)



ინფორმაციის წყარო: ბლუმბერგი

(სავალუტო ფონდის პროგრამით გათვალისწინებული სესხი) – 21.11 მლნ აშშ დოლარი, რამაც ჯამში 37.86 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. საანგარიშო კვარტალის განმავლობაში დაიფარა მოგიერთი ვალი, კერძოდ: 11.08 მლნ აშშ დოლარი – სახელმწიფო ვალი, 1.37 მლნ აშშ დოლარი – სახელმწიფო გარანტიით აღებული ვალი. ამავდროულად, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა საერთაშორისო სავალუტო ფონდის საპროგრამო სესხიდან 11.83 მლნ აშშ დოლარი დაფარა. ასევე, გასტუმრებულ იქნა საგარეო ვალის საპროცენტო მომსახურების თანხა 4.5 მლნ აშშ დოლარის ოდენობით. რაც შეეხება სახელმწიფო და სახელმწიფოს გარანტიით აღებული ვალის მთლიან მოცულობას, საკურსო ცვლილებების გათვალისწინებით, აღნიშნული, 2007 წლის I კვარტალში 24.6 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა.

3.4. წარმოების დანახარჯები

ნავთობის ფასების ღირებულება

თუ 2006 წლის IV კვარტალის განმავლობაში ნავთობის ფასები შედარებით სტაბილური იყო, საანგარიშო პერიოდი მათი მაღალი მერყეობით აღინიშნა – 2007 წლის 18 იანვრისათვის, 2006 წლის დეკემბერთან შედარებით, ნავთობის ფასები 17.3 პროცენტით შემცირდა. ამის შემდეგ დაიწყო ნავთობის ფასების ბრდის საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდი, რომლის მანძილზეც ნავთობზე ფასებმა 50.48 აშშ დოლარიდან 65.87 აშშ დოლარამდე აიწია (თუ არ ჩაეთვლით მარგის ბოლოს ნავთობის ფასების დაცემის მოკლევადიან პერიოდს). მთლიანობაში, კვარტალის დასაწყისთან შედარებით, ნავთობის ფასები 12.9 პროცენტით გაიზარდა.

ცხრილი 3.4.1

2007 წლის I კვარტალში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების ნომინალური და რეალური ზრდა 2006 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით (პროცენტად)

	ნომინალური ზრდა	რეალური ზრდა*
მთლიანი შემოსავლები და გრანტები	52.0	37.7
მთლიანი შემოსავლები	50.0	35.9
საგადასახლო შემოსავლები	58.0	43.0
მოგების	151.1	127.3
დღე	55.0	40.3
აქციები	49.8	35.7
საბაჟო	-67.2	-70.2
სოციალური	45.2	31.5
არასაგადასახლო შემოსავალი	13.8	3.1
კაპიტალური შემოსავლები	251.4	218.2
გრანტები	196.9	169.0

ინფორმაციის წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო


\* რეალური ზრდა დაფიქსირებულია 2006 წლის ცხრა თვის საშუალო წლიური ინფლაციის (სფი) მსხველვით.

გადასახადები

2007 წლის I კვარტალის ოპერატიული ინფორმაციით, სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებმა და გრანტებმა 1071.7 მლნ ლარი, ხოლო საკუთარმა შემოსავლებმა 1042.5 მლნ ლარი შეადგინა. იანვარ-მარგის საპროგნოზო პარამეტრები, შესაბამისად, 118.9 და 119.4 პროცენტით შესრულდა, ხოლო საგადასახლო შემოსავლებმა შეადგინა 806.4 მლნ ლარი. 2006 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით საგადასახლო შემოსავლების ნომინალური ზრდის გეგმა 58 პროცენტი იყო, ხოლო რეალური ზრდის გეგმა (ინფლაციის გათვალისწინებით) – 43 პროცენტი. საგადასახლო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები 118.2 პროცენტით შესრულდა. გადასახადების სახით მიღებული შემოსავლების წილი სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებსა და გრანტებში გაიზარდა და

ბრაზიკი 3.4.2


სახელმწიფო ბიუჯეტის მილიანი შემოსავლები სახსრის მიხედვით  
2007 წ., I კვ.



ინფორმაციის წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

ბრაზიკი 3.4.3

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები ჯამობის მიხედვით



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

75.3 პროცენტით შეადგინა, მაშინ, როცა გასული წლის იმავე პერიოდში 72.5 პროცენტით იყო.

2007 წლის I კვარტალში, წინა წელთან შედარებით, მკვეთრად გაიზარდა ყველა სახის გადასახადით სახელმწიფო ბიუჯეტში მიღებული შემოსავლების მოცულობა, გარდა საბაჟო გადასახადისა – მათ შორის, მოგების გადასახადით 151 პროცენტით, ლღ-ით – 55 პროცენტით, აქციებით – 50 პროცენტით, სოციალური გადასახადით – 45 პროცენტით. გადასახადების გადახდის აღმინისკრირების გამკაცრების შედეგად ეკონომიკის მზარდი ლეგალიზაცია და ასევე ეკონომიკური მრღა განაპირობებდა საბიუჯეტო შემოსავლების მნიშვნელოვან მატებას. მთლიანობაში, I კვარტალის პროგნოზირებული მაჩვენებლები შესრულდა ყველა სახის გადასახადის მიხედვით. რაც შეეხება არასაგადასახადო და კაპიტალურ შემოსავლებს, ასევე გრანტებს, მათმა მოცულობამ აგრეთვე გადააჭარბა როგორც გეგმურ, ისე გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებლებს. მიმდინარე წლის I კვარტალში, 2006 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, შემოსავლების სტრუქტურაში მნიშვნელოვნად გაიზარდა მოგების გადასახადის, კაპიტალური შემოსავლებისა და გრანტების წილი. სამაგიეროდ, მნიშვნელოვნად შემცირდა საბაჟო გადასახადისა და არასაგადასახადო შემოსავლების წილი.

2007 წლის პირველი იანვრიდან ამოქმედდა ახალი საბაჟო კოდექსი. ძალადაკარგულად გამოცხადდა კანონი „საბაჟო გადასახადის შესახებ“ და მისი დებულებები ცვლილებებისა და დამატებების სახით გადაგანილ იქნა საგადასახადო კოდექსში. ამჟამად საბაჟო გადასახადების განაკვეთები შეადგენს 0-ს, 5-სა და 12 პროცენტს. საგარიფო პოზიციების თითქმის 90 პროცენტის მიხედვით საბაჟო გადასახადის განაკვეთი ნულის ტოლია. გაუქმებულია სემონური საბაჟო გადასახადიც. გადასახადის განაკვეთის შემცირებამ მნიშვნელოვნაწილად განაპირობა ის ფაქტი, რომ 2007 წლის I კვარტალში საბაჟო გადასახადის სახით მიღებულ იქნა მხოლოდ 10.4 მლნ ლარი, რაც 3-ჯერ ნაკლებია გასული წლის შესაბამისი პერიოდის ანალოგიურ მაჩვენებელზე.

გადასახადების აღმინისკრირების გაუმჯობესებას და მაღალ ეკონომიკურ აქტივობას თვალსაჩინოდ ასახავს საბაჟო და საგადასახადო ლეპარატორების შემოსავლების მკვეთრი მრღაც. კერძოდ, საგადასახადო ლეპარატორების მიერ მობილიზებულ იქნა 217.3 მლნ ლარით მეტი, ხოლო საბაჟო ლეპარატორების მიერ 73.5 მლნ ლარით მეტი შემოსავალი, ვიდრე გასული წლის შესაბამის პერიოდში. სულ, საგადასახადო ლეპარატორებმა სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების გეგმა 121.7 პროცენტით შეასრულა, ხოლო საბაჟო ლეპარატორებმა 113.2 პროცენტით.

2007 წლის I კვარტალის სახელმწიფო ბიუჯეტის ლეფიციტი გათვალისწინებული იყო 89.3 მლნ ლარის ოდენობით. ლეფიციტის დაფინანსებისათვის საგარეო წყაროების სახით მიღებულ იქნა 28 მლნ ლარის გრძელვადიანი საინვესტიციო კრედიტები. ამავ დროს, დაგეგმილზე მეტი საბიუჯეტო შემოსავლების მიღებისა და შემცირებული ხარჯების გამო, სახელმწიფო ბიუჯეტი I კვარტალში პროფიციტული იყო – 140.7 მლნ ლარით (ანუ შემოსავლები აღემატებოდა ხარჯებს). თავისუფალი საბრუნავი სახსრების დაგროვების შედეგად 170 მლნ ლარით გაიზარდა ხაზინის ანგარიშებზე რიცხული ნაშთი. 2006 წელს მიმოქცევაში დარჩენილი სახაზინო ვალდებულებების სრულად დაფარვის გამო, 2007 წლის I კვარტალში სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხარჯი არ გასულა.

2007 წლის იანვარ-მარტში სახელმწიფო ბიუჯეტში უცხოური ვალუტის სახით მიღებული ფინანსური სახსრები, რაც, ძირითადად, პრივატიზაციასთან დაკავშირებულ შემოსავლებზე მოდის, დაახლოებით 38 მლნ აშშ დოლარით ნაკლებია მთავრობის მიერ უცხოური ვალუტით გაწეულ ხარჯებზე. ეს იმას ნიშნავს, რომ შესაბამისი ოდენობით შემცირდა ფულის მასა ბრუნვაში. გარდა ამისა, მნიშვნელოვნად გაიზარდა საქართველოს ეროვნულ ბანკში მთავრობის ანგარიშებზე განთავსებული დეპოზიტების მოცულობაც.

### უმუშევრობა

2006 წელს შრომის ბაზარზე სიგუაცია, 2005 წელთან შედარებით, გარკვეულწილად გაუმჯობესდა, კერძოდ, უმუშევრობის დონე 13.8 პროცენტთან 13.6 პროცენტამდე შემცირდა<sup>1</sup>. 2006 წელს, წინა წელთან შედარებით, დასაქმებულთა რაოდენობამ მცირედით, 2.7 ათასი კაცით მოიმატა და ეს დაქირავებულითა რიცხვის 3.4 ათასი კაცით ზრდის ხარჯზე მოხდა. თვითდასაქმებულთა ოდენობის თანდათანობით შემცირების მიუხედავად, მათი წილი საერთო მაჩვენებლის 65 პროცენტს შეადგენს და ეს კატეგორია ძირითადად სოფლის მეურნეობაშია დასაქმებული. 2006 წელს მომუშავეთა რაოდენობა გაიზარდა ისეთ სექტორებში, როგორცაა სოფლის მეურნეობა, მშენებლობა, ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა, საფინანსო შუამავლობა, განათლება, კულტურა, გართობა-დასვენება, ოპერაციები უძრავი ქონებითა და კერძო საოჯახო მეურნეობა. საპირისპიროდ, დასაქმების შემცირება აღინიშნა მრეწველობის, ვაჭრობის, სახელმწიფო მმართველობისა და ჯანდაცვის სფეროებში.

2006 წელს კვლავ გაგრძელდა ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის შემცირების ტენდენცია, რომელიც

#### ცხრილი 3.4.2

ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა და უმუშევრობა შსო-ის (შრომის სამართაშრომის ორგანიზაცია) მკაცრი კრიტერიუმის საფუძველზე

	2002 წ.	2003 წ.	2004 წ.	2005 წ.	2006 წ.
15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობა (ათასი კაცი)	3240	3105	3151	3162	3251
ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა (ათასი კაცი)	2104	2051	2041	2024	2022
სამუშაო ძალის მონაწილეობის კოეფიციენტი (%)	65.0	66.1	64.8	64.0	62.2
უმუშევარი სულ (ათასი კაცი)	265	236	258	279	275
უმუშევრობის დონე (%)	12.6	11.5	12.6	13.8	13.6

წყარო: სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი

<sup>1</sup> განგარიშებულია შსო (შრომის სამართაშრომის ორგანიზაცია) მკაცრი კრიტერიუმის საფუძველზე.

განპირობებულია მოსახლეობის დაბერებითა და მისი ნაწილის, საპენსიო ასაკის გამო, სამუშაო ძალიდან გასვლის მასშტაბის გაფართოებით. შედეგად სამუშაო ძალის მონაწილეობის კოეფიციენტი 2006 წელს 62.2 პროცენტამდე შემცირდა. თუმცა, ეს მაჩვენებელი მაღალია განვითარებული ქვეყნების მონაცემებზე, რაც იმაზე მიუთითებს, რომ საქართველოში ბევრ მოქალაქეს ეკონომიკური მდგომარეობა აიძულებს უფრო აქტიურად ეძებოს სამუშაო.

### შრომის პროდუქტიულობა, ხელფასები

2006 წელს აღინიშნა ხელფასის ღირსის მკვეთრი ზრდა. მათ შორის, IV კვარტალში, 2005 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, საშუალო ნომინალური ხელფასი გაიზარდა 23 პროცენტით. ხელფასის რეალური ზრდის ტემპი იმავე პერიოდში 13.4 პროცენტი იყო. 2006 წლის IV კვარტალში საშუალო თვიურმა ხელფასმა (გადასახადების გადახდის შემდეგ) 203.8 ლარი შეადგინა<sup>1</sup>. ხელფასი გაიზარდა თითქმის ყველა სფეროში, როგორც კერძო, ისე სახელმწიფო სექტორებში.

2006 წლის IV კვარტალში, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ერთ დასაქმებულზე წარმოებული დამატებული ღირებულების რეალური ზრდა 29.9 პროცენტს შეადგენდა. შრომის პროდუქტიულობა საკმაოდ სწრაფად გაიზარდა ეკონომიკის უმრავლეს სექტორებში, თუმცა აღინიშნა მისი შემცირებაც მრეწველობის, ვაჭრობის, სახელმწიფო მმართველობისა და მცირედით სოფლის მეურნეობის სექტორებში.

2006 წლის IV კვარტალში საშუალო ხელფასის წლიური ზრდის ტემპი 7 პროცენტით ჩამორჩებოდა ერთ დასაქმებულზე წარმოებული მთლიანი დამატებული ღირებულების რეალურ ზრდას. თუმცა, ისეთი არასაბაზრო სფეროს გამოკლება, როგორცაა სახელმწიფო მართვა, სხვაობას კიდევ უფრო გაზრდის, რაც, თავის მხრივ, ინფლაციის შემაკავებელ ფაქტორს წარმოადგენს.

### 3.5. გამოშვება და მოთხოვნა

#### გამოშვება

2006 წელს, მკვეთრად ნეგატიური საგარეო შოკის მიუხედავად, საქართველოს ეკონომიკამ შეინარჩუნა

#### ცხრილი 3.4.3


2006 წლის მეოთხე კვარტალში ერთ დასაქმებულზე წარმოებული რეალური დამატებული ღირებულება და საშუალო თვიური ხელფასი 2005 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით

	რეალური დამატებული ღირებულება (%)	ნომინალური ხელფასი (%)
სოფლის მეურნეობა	99.1	126.8
მრეწველობა	94.0	122.2
მშენებლობა	113.7	119.7
ვაჭრობა	80.5	126.2
სასტუმროები და რესტორნები	139.9	108.2
გრანსინორტი და კაგეშირგაბმულობა	182.4	108.1
საფინანსო უკავშირეობა	110.4	218.2
სახელმწიფო მართვა, თავდაცვა	14.1	135.2
განათლება	241.9	121.0
ჯანდაცვა	150.0	156.5
სულ	129.0	123.0

წყარო: სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი

#### ბრაზილი 3.5.1

სოფლის მეურნეობაში წარმოებული რეალური დამატებითი ღირებულების წლიური ზრდის ტემპი



<sup>1</sup> გამოთვლები ეყრდნობა შინამეურნეობების კვლევადან მიღებულ მონაცემებს.

ცხრილი 3.5.1


საპროცენტო მონაცემები 2005-2006 წლების პერიოდში

	2005		2006		წლილი მშპ-ში	წლილი მშპ-ის
	წლილი მშპ-ში	ბრლი	წლილი მშპ-ში	ბრლი		
სოფლის მეურნეობა, ნადირობა და საგლეო მეურნეობა, მეფრეობა და თევზჭერა	14.8	12	2	11.3	-9.3	-1.4
სამთომშობიებითი მრეწველობა	0.8	-7.8	-0.1	1	18.9	0.1
გადამამუშავებელი მრეწველობა	8.6	14.1	1.2	8.6	22.4	1.9
ელექტროენერჯის, ბუნებრივი აირისა და წყლის წარმოება და განაწილება	2.8	5.1	0.2	2.7	14.2	0.4
პროდუქციის გადამამუშავება მნიშვნელოვანების მიერ	3.5	12.4	0.5	2.5	2.2	0.1
მშენებლობა	8.1	14.1	1.1	6.8	9.9	0.8
ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი სარგებლობის საგნების რემონტი	12	9.4	1.2	13.6	19.7	2.4
სასტუმრობა და რესტორნები	2.8	17.1	0.5	2.2	11.7	0.3
გრანსპორტი, ლამაზი და ღამაგებითი საგრანსპორტო საქმიანობა	8.4	3.9	0.4	8	15.1	1.3
კავშირგაბმულობა და ფოსტა	4	28.7	1.1	3.5	11.9	0.5
საფინანსო საქმიანობა	2	52.8	0.7	2.3	40.4	0.8
ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და კომერციული მომსახურება	2.6	10.6	0.3	3.2	13.1	0.3
საკუთარი სახეობის გამოყენების პირებითი რენტა	2.7	0.9	0	2.4	-1.3	0
სახელმწიფო მმართველობა	6.5	-6.3	-0.4	8.6	-1.1	-0.1
განათლება	3.3	13.8	0.5	3.6	7	0.2
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური მომსახურება	3.5	7.6	0.3	4.3	13.4	0.5
სხვა კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურება	3.2	18.3	0.5	3.4	12	0.4
მნიშვნელოვანების მიერ დაქირავებული მომსახურება	0.1	28.2	0	0.1	10.2	0
საქმიან აქტივობაში ფინანსური შუამავლობის მომსახურების გამოყენების არაპირდაპირი შეფასება	-1.1	57.5	-0.4	-0.9	-6.3	0.1
მშპ საბაზისო ფასებში	88.5	10.4	9.5	87.4	9.5	8.4
გადასასაღები პროდუქციაზე	12	1.2	0.1	13.1	6.8	0.8
სუპერმარკეტების პროდუქციაზე	-0.5	0.5	0	-0.4	-10.9	0.1
მშპ საბაზისო ფასებში	100	9.6	9.6	100	9.4	9.4

წყარო: გამოთვლები შესრულებულია საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ.

ბრაზილი 3.5.2

სსკპასსსკა ღირებულების მიერ წარმოებული ღირებულების წილი მშპ-ში



მაღალი ბრლის გემპი. მშპ-ის რეალური ბრლის წლიურმა გემპმა 9.4 პროცენტი შეადგინა. ეს მაჩვენებელი კვარტალების მიხედვით (წინა წლის საშუალოსთან მიმართებით), შესაბამისად, 8.5, 7.9, 9.6 და 11.5 პროცენტია.

ენერჯორესურსების ფასების ბრლასა და არასახარბიელო სასოფლო-სამეურნეო მეტეოროლოგიურ პირობებთან ერთად, 2006 წელს რუსეთის მიერ შემოღებული სანქციები ეკონომიკური ბრლის შემაფრთხილებელი მთავარი ფაქტორი იყო. ამ ნეგატიური ფონის მიუხედავად, 2006 წლის IV კვარტალის მონაცემებით, მთლიანი შიდა პროდუქტის ნომინალური ბრლა, 2005 წლის IV კვარტალთან შედარებით, 3255.4 მლნ ლარიდან 3970.0 მლნ ლარამდე (22.0 პროცენტი) გაიზარდა.

ეკონომიკის ბრლის დარგობრივი განხილვა გვიჩვენებს, რომ IV კვარტალში ეკონომიკური საქმიანობის სახეობებს შორის, წინა წლის საშუალო კვარტალურ მონაცემთან შედარებით, ბრლის დადებითი მაჩვენებელი დაფიქსირდა თითქმის ყველა სექტორში, რომელთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია „ელექტროენერჯის, ბუნებრივი აირისა და წყლის წარმოება და მიწოდება“ (35.1 პროცენტი, თუმცა უნდა ითქვას, რომ ბრლას მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს სემონურობის ფაქტორი) და „საფინანსო საქმიანობა“ (24.8 პროცენტი). კვარტალური ბრლის მაჩვენებელი 20 პროცენტის ფარგლებშია მშენებლობის, ვაჭრობის, სასტუმროებისა და რესტორნების, კავშირგაბმულობის სექტორებში.

მთლიანად, 2006 წლის განმავლობაში ყველაზე სწრაფი ბრლის გემპი საფინანსო საქმიანობასა (40,4 პროცენტი) და გადამამუშავებელი მრეწველობაში (22.4 პროცენტი) აღინიშნა.


არასახარბიელო მეტეოროლოგიური პირობების შედეგად, სოფლის მეურნეობაში წარმოებული დამატებული ღირებულების რეალურმა ოდენობამ, წინა წელთან შედარებით, 9.3 პროცენტით მოიკლო, რაც საგრძობლად აისახა სასოფლო-სამეურნეო საქონლის ღირებულებაზე და, შესაბამისად, ფასების მაგებაზე. ფასების ბრლა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე ყველა სხვა პროდუქციაზე მეტად თვალსაჩინოა და ინფლაციის რეალურ ღირებულებასთან შედარებით გადაჭარბებულ განცდას ქმნის.

გრადიციულად, სოფლის მეურნეობაში წარმოებული დამატებული ღირებულების მაგებისა და კლების წლები ერთმანეთს ენაცვლება. ამ კანონზომიერების მიხედვით, 2007 წელს სოფლის მეურნეობაში წარმოებული დამატებული ღირებულების მნიშვნელოვან მაგებას უნდა ველოდოთ.




ბრაზიკი 3.5.3

სხვადასხვა სექტორების ზრდის ტემპები კვარტალური მონაცემებით



ბრაზიკი 3.5.4

კვარტალური მშპ-ის ზრდა წინა წლის საშუალო მონაცემთან შედარებით



### შინამეურნეობის მოხმარება

2006 წლის IV კვარტალში, 2005 წლის IV კვარტალთან შედარებით, შინამეურნეობის მოხმარება, ნომინალური გამოხატულებით, 38.7 პროცენტით იყო გაზრდილი. მთლიანად, 2006 წელს, წინა წელთან შედარებით, ეს მაჩვენებელი 31.9 პროცენტს შეადგენს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მშპ-ის წარმოებისა და დანახარჯების მეთოდებით გაანგარიშებულ მოცულობებს შორის სტატისტიკური ცდომილების არსებობის გამო, მუსგ სიდიდეებზე დაბეჯითებით ლაპარაკი ძნელია.

### სახელმწიფო მოხმარება


მართალია, 2006 წლის IV კვარტალის მონაცემებით, მიმდინარე წელს სახელმწიფო მოხმარების ამსახველი მაჩვენებელი, 2005 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 60.5 პროცენტით არის გაზრდილი, მაგრამ, მთლიანად წლიური მონაცემების მიხედვით, ნომინალურმა მნიშვნელობამ 12.2 პროცენტით მოიმატა. სახელმწიფო სექტორის ხარჯების ძირითადი ნაწილი შიდა მოთხოვნის ფორმირებაზე ახდენს გავლენას. თუმცა აღსანიშნავია, რომ გაწეული ხარჯების ნაწილი კონვერტაციის შემდეგ საქონლის იმპორტზე იხარჯება. IV კვარტალში საქართველოს ეროვნულმა ბანკმა საქართველოს მთავრობის მოთხოვნით 83 მლნ აშშ დოლარის კონვერტაცია განახორციელა, ხოლო, მთლიანად, 2006 წლის განმავლობაში 234 მლნ აშშ დოლარის კონვერტაცია მოახდინა, რაც 2005 წლის შესაბამის მაჩვენებელს 67 პროცენტით აღემატება. კონვერტაციებმა მთელი სახელმწიფო ხარჯების მეხუთედი შეადგინა.

### ინვესტიციები

2006 წლის IV კვარტალში მთლიანი კაპიტალის ფორმირება 1079.8 მლნ ლარს შეადგენს და 15.7 პროცენტით აღემატება 2005 წლის შესაბამის მონაცემს. 2006 წლის მანძილზე ამ მაჩვენებელმა 3853 მლნ ლარი შეადგინა. აღნიშნული, მართალია, ნომინალური გამოხატულებით 16 პროცენტით გაიზარდა, მაგრამ ჩამორჩებოდა მშპ-ის ნომინალურ ზრდას (19 პროცენტი). მიუხედავად ამისა, მთლიანი ინვესტიციების წილი მშპ-ში დიდად არ შემცირებულა და 28.0 პროცენტს უტოლდება (28.6 პროცენტი 2005 წელს). მნიშვნელოვნად შეიცვალა ინვესტიციების სტრუქტურა. უცხოურმა პირდაპირმა ინვესტიციებმა მთლიანი ინვესტიციების 47 პროცენტი შეადგინა. 2005 წელს უცხოური პირდაპირი ინვესტიციები მთლიანი ინვესტიციების მხოლოდ

ბრაზიკი 3.5.5

ინკორპორირებული და კმეხნის შიზნით წარმოებული პროდუქციის ბაზოქმენვა (მშპ პროცენტბაზო)



25 პროცენტი იყო. უცხოური ინვესტიციების მკვეთრი მატება ქვეყანაში ბიზნესგარემოს გაუმჯობესებითა და წარმატებული პრივატიზაციის პროცესით არის განპირობებული.

2006 წელს, აბსოლუტური მატებებით, ქვეყანაში შემოსული უცხოური პირდაპირი ინვესტიციების მოცულობამ 1026 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 128 პროცენტით აღემატება წინა წლის მატებებს. უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ძირითადი ნაკადი ღილი ბრიტანეთიდან (17.7 პროცენტი), ყაზახეთსა (14.8 პროცენტი) და თურქეთიდან (12.4 პროცენტი) შემოვიდა. აშშ-ის წილი პირდაპირ ინვესტიციებში 6 პროცენტი იყო, ხოლო რუსეთის წილი 2.7 პროცენტს შეადგენდა.

უცხოური პირდაპირი ინვესტიციების მკვეთრი მატება იყო ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი, რომელიც ეროვნულ ვალუტაზე მაღალ მოთხოვნას და სავალუტო ბაზარზე ღარის კურსის გამყარებას იწვევდა. ასევე, ინვესტიციების შემოღინება შინამეურნეობებს მოხმარების მრდის მაღალი ტემპის შენარჩუნების საშუალებას აძლევდა, რაც ხელს უწყობდა მშპ-ის მრდს.

# ინფლაციის პროგნოზი

# 4


ცხრილი 4.1

რეზუმირებადი ვასეპის მძონე პროფუქტების წლიური ბაჰიზირება ღა მათი ვვლილი წლიური ინფლაციისუი 2007 წ., I კვ.

	ფასის ცვლილება საშუალოდ საქართველოში	წლილი ინფლაციისი
სასმელი წყლის გადასახალი	66.0%	0.3%
დასუფთავების მოსაკრებელი	123.0%	0.3%
ელექტროენერჯის გადასახალი	59.0%	1.7%
გაზი, ბუნებრივი	32.0%	0.5%

ბრაზიკი 4.1

ინფლაციის პროგნოზი 2005-2007 წწ.



## ეგზოგენური ფაქტორების მოსალოდნელი გავლენა

როგორც ცნობილია, 2006 წლის ინფლაციაზე მრავალი ნეგატიური ეგზოგენური ფაქტორი მოქმედებდა: რუსეთის მიერ გამრდილი ბუნებრივი გაზის ფასი ღა, შესაბამისად, გაძვირებული ელექტროენერჯის ფასი, რუსეთის ემბარგო, შაქრისა ღა ნავთობის მსოფლიო ფასები, არასახარბიელო კლიმაგური პირობები, ფრინველის გრიპი. აქედან, ზოგიერთი მათგანის გემოქმედება ჯერ კიდეე აისახება წლიურ ინფლაციაში, მაგრამ მათი უმეტესობა უახლოეს თვეებში წლიურ ინფლაციაზე ნეგატიურ გავლენას აღარ მოახდენს. უფრო მეტიც, საგარაულოდ, რომ შარშანდელთან შედარებით უკეთესმა კლიმაგურმა პირობებმა პოზიტიური ეგზოგენური შოკის როლი შეასრულოს ღა ფასების კლების მიმართულებით იმოქმედოს.

სამაგიეროდ, მიმდინარე წელს ინფლაციის ზრდაში მნიშვნელოვან წვლილს შეიგანს რეგულირებადი ფასების მქონე პროდუქტებზე ფასების მაგება. დასუფთავების მოსაკრებლის, სასმელი წყლის, ელექტროენერჯის გამრდილი გადასახალები ღა ბუნებრივი გაზის გაძვირება, მარგის მდგომარეობით, წლიური ინფლაციის 2.8-პროცენტგან ზრდას იწვევს. უახლოეს თვეებში ბუნებრივი გაზის გაძვირების პირდაპირი ეფექტი, საგარაულოდ, კიდეე ერთი პროცენტგული პუნქტით გამრდის წლიურ ინფლაციას, არანაკლები ეფექტი ექნება საქალაქო გრანსპორტით მგზავრობის საფასურის გამრდას.

## ინფლაციის მოდელი

მთლიანი შიდა პროდუქტისა ღა ფულის მასის მოსალოდნელი ზრდის პირობებში, ნავთობის ფასების საბაზრო მოლოდინის მიხედვით (ნნ აშშ ღოლარი/ ბარელზე), შარშანდელზე უკეთესი მოსაგლიანობის, იმპორტირებული ინფლაციის მცირედით ზრდისა ღა სხვა შესაძლო ეგზოგენური ფაქტორების გარეშე ღა აგრეთვე გაზის ფასების მომაგების გავლენის გათვალისწინებით, მონეგარული პოლიტიკის უცვლელობის პირობებში მოსალოდნელი ინფლაცია წარმოღგენილია გრაფიკზე 4.1.

მიღებული პროგნოზის თანახმად, მიმდინარე წლის დეკემბერში წლიური ინფლაცია 20 პროცენტის ალბათობით 4.53-ღან ღა 9.44 პროცენტამდე შეიცვლება.

### ჩანართი 1. საქართველოს მაკროეკონომიკური მოდელი

ცენტრალური ბანკის, როგორც ორგანიზაციული ერთეულის ფუნქციას წარმოადგენს მონეგარული პოლიტიკის მართვა ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფის მიზნით. პოლიტიკის ჩამოყალიბებაში მათ ეხმარება ერთი ან რამდენიმე დეპარტამენტი – როგორც წესი, ეს არის კვლევითი დეპარტამენტი, რომლის მოვალეობა არსებული სიტუაციის გამოკვლევა ეკონომიკის რეალურსა თუ ფინანსურ სექტორებში. გარდა არსებული სიტუაციის ანალიზისა, კვლევითი დეპარტამენტის მოვალეობებში შედის მონეგარული პოლიტიკის შედეგების შესახებ საკუთარი პროგნოზებისა და მოსაზრებების წარმოდგენა. ეს პროგნოზები შეიძლება სხვადასხვა წინაპირობას ემყარებოდეს, რათა მონეგარული პოლიტიკის შემუშავებულმა ერთეულმა სხვადასხვა საკუთარი გადაწყვეტილების შესაძლო შედეგის შეფასება შეძლოს.

ბუნებრივია, ეკონომისტებს არ შეუძლიათ აბსოლუტურად ზუსტად იწინასწარმეტყველონ მომავალი, მაგრამ მათ ხელთ არსებული ინფორმაციის მაქსიმალურად ეფექტიანად გამოყენებაში სხვადასხვა ტიპის ეკონომიკური მოდელი ეხმარებათ. განვითარებული ქვეყნების ცენტრალური ბანკები სხვადასხვა სირთულის ეკონომიკურ მოდელებს ჯერ კიდევ 1960-იანი წლებიდან იყენებენ – სწორედ იმ პერიოდში შეიქმნა პირველი, საკმაოდ მძლავრი მაკროკომპიუტერები, რომელთაც შეეძლოთ მრავალცვლადიანი ეკონომიკური მოდელების შედარებით მოკლე დროის განმავლობაში გათვლა და საპროგნოზო მაჩვენებლების მიღება.

განსაკუთრებულ სირთულეს წარმოადგენს მაკროეკონომიკური მოდელის შემუშავება გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისათვის. ამ გარემოებას რამდენიმე მიზეზი განაპირობებს. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ გარდამავალი ეკონომიკისათვის დამახასიათებელია მაღალი ვოლატილურობა, რაც დაკავშირებულია ისეთ მნიშვნელოვან ცვლილებებთან, როგორცაა პრივატიზაცია, ეკონომიკის ლიბერალიზაციის პროცესი, კაპიტალის მნიშვნელოვანი ღებობა ქვეყნიდან და ქვეყანაში. ამასთან ერთად, გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში არსებობს ეკონომიკურ მონაცემებთან დაკავშირებული პრობლემები, რომელთაგან აღსანიშნავია დროითი მწკრივების სიმოკლე, უზუსტობები მონაცემებში და, ხშირად, ნაკლები მწკრივები – ეკონომიკური მონაცემები, რომლებიც საჭიროა ამა თუ იმ მოდელის შემუშავებისათვის, მაგრამ რომელთა შეგროვება არ ხდებოდა სხვადასხვა მიზეზების გამო. და ბოლოს, კიდევ ერთი პრობლემა, რომელსაც ეკონომისტები ხვდებიან გარდამავალი ეკონომიკის მოდელირებისას, არის თვით გარდამავალი პერიოდის მოკლევადიანი ხასიათი. მოდელი, რომლის პროგნოზები შესაძლოა დამაკმაყოფილებელი იყოს გარდამავალი პერიოდის განმავლობაში, შეიძლება საკმაოდ არაზუსტი გახდეს მას შემდეგ, რაც ქვეყანა განვითარების შედარებით სტაბილურ ეტაპზე გადავა. ის მკვეთრი და ძლიერი ტენდენციები და ტრენდები,

რომლებიც გარდამავალი პერიოდისთვის არის დამახასიათებელი, მოკლევადიანი ხასიათისაა და არ შენარჩუნდება მომდევნო პერიოდებში.

საქართველოს ეროვნულ ბანკში ნიღერლანდების ბანკის მხარდაჭერით მიმდინარეობს მუშაობა საქართველოს მაკროეკონომიკურ მოდელზე. ამ მოდელის აგებისას გათვალისწინებული იყო ყველა შემოსენებული პრობლემა. მოდელში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მიღებული შედეგების ეკონომიკურ ლოგიკურობას.

მონაცემთა ხელმისაწვდომობიდან გამომდინარე, მოდელის სამუშაო პერიოდად აღებული იყო 1997-2006 წლები. იგი შედგება 34 განტოლებისაგან, რომელთაგან 25 ეკონომიკური თეორიიდან ცნობილ იგივეობებს წარმოადგენს, ხოლო ცხრა ცალკეულ ეკონომეტრიკულ რეგრესიაზე დაფუძნებული ქცევითი განტოლებაა.

ამ უკანასკნელი განტოლებების მისაღებად გამოყენებულია ე. წ. ცლომილებათა კორექციის მეთოდი, რომლის თანახმად, განტოლებაში შემავალ ცვლადებს შორის არსებობს გარკვეული სტაბილური გრძელვადიანი დამოკიდებულება, რომელიც წინასწორულ მდგომარეობას წარმოადგენს. ამასთანავე, ამ წინასწორული მდგომარეობიდან არსებობს მოკლევადიანი გადახრები, რომლებიც შეიძლება იყოს ალბიშული ცვლადების წარსული ქცევის ან რაიმე გარე, ეგზოგენური ცვლადების გემოქმედების შედეგი.

ქცევითი განტოლებების მისაღებად აგებული იყო რეგრესიები შემდეგი ცვლადებისთვის:

- მოხმარება
- ინვესტიციები
- ექსპორტი
- იმპორტი
- შრომის მოთხოვნა
- სამომხმარებლო ფასების ინდექსი
- ხელფასები
- ფულის მოთხოვნა (M2 აგრეგატი)
- ლარის გაცვლის კურსი აშშ დოლარის მიმართ

მოდელის ყველა განტოლება, მონაცემთა შესაბამის ბაზასთან ერთად, იგვირთება სპეციალურ კომპიუტერულ პროგრამა WinSolve-ში, რომელშიც ხდება მონაცემთა დამუშავება სიმულირებისა და პროგნოზირების მიზნით.

ამჟამად, მოდელის შემუშავება დასრულების სტადიაშია. ნიღერლანდელ ექსპერტებთან შემდგომი კონსულტაციების საფუძველზე მოხდება მოდელის დაკალიბრება, ტესტირება და პირველი შედეგების მიღება. ამის შემდეგ მოდელი საბოლოო სახით ჩამოყალიბდება და მისი პერიოდული მოლიფიცირების გათვალისწინებით საქართველოს ეროვნულ ბანკს გაუზიარდება კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი, რომელსაც ის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის დაგეგმვის დროს გამოიყენებს.

„ინფლაციის მიმოხილვა“ გამოსაცემად მომზადდა საქართველოს ეროვნულ ბანკში.

0105, თბილისი, გ. ლეონიძის ქ. N3/5